ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171
1958

5

მაისი

F-21221

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა"
თბილისი — 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 5/II—58 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6.5. სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 6.25, სტამბის შეკ. № 403. ტირაჟი 5.000.

უ ფ ა ს ო

* * *

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა
უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография министерства просвещения Гр. ССР
ул. Уш. Чхеидзе 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 210

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 5 მარტი

თეთრიწყაროსა და გარდაბნის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თეთრიწყაროს საბავშვო ბაღი (გამგე ლ. აბუსერიძე) დამაკმაყოფილებლად მუშაობს. კარგი მატერიალური ბაზა, შესაფერისი გარემო, რეჟიმის ზუსტად დაცვა ხელს უწყობს ამ საბავშვო ბაღს ნორმალურ მუშაობაში. სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მეცადინეობისა და თამაშის შინაარსი აგებულია სახელმძღვანელოს პროგრამულ-მეთოდურ მითითებათა მიხედვით. ბავშვები ამეცადინებენ პროგრამის ცოდნას. კარგად მუშაობს აღმზრდელი ს. მურავსკაია.

საბავშვო ბაღში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია, კეთილმოწყობილია ეზო.

საბავშვო ბაღის გამგე ლ. აბუსერიძე მომზადებული მუშაკია. იგი კარგად ხელმძღვანელობს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამუშაოს.

გარდაბნის საბავშვო ბაღში კი მუშაობისათვის აუცილებელი პირობებიც არ არის შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღს ტიპიური შენობა აქვს, იგი მეტად მოუწესრიგებელ და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. საბავშვო ბაღი ღარიბია მაგარი ინვენტარით და რაც აქვთ ისიც დამტვრეული, წყობიდან გამოსული და ჩამოსაწერია. არ აქვთ პირსახოცები და ხელსაწმენდები, ხალათები, სუფრები, ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ ჭურჭელი, რის გამო 50 ბავშვის ერთდროულად სადილობა შეუძლებელია. ერთი და იგივე ჭურჭლით სარგებლობს ორივე ჯგუფი. ჯგუფებს აკლია სასწავლო ნივთები და სათამაშოები.

მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღს სათბობი გააჩნია, ოთახები მაინც არ თბება ნორმალურად და ამის გამო დღის ძილიც არ ტარდება.

ბავშვები უსუფთაოდ გამოიყურებიან, მათ არ აქვთ ხალათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები, აღსაზრდელებში არ არის დანერგილი კულტურული ჩვევები. ჯგუფებში უდისციპლინობაა.

აღმზრდელები ირ. გალენჩიკი, ფ. მამედოვა ვერ ერკვევიან მუშაობაში და სკოლამდელთა აღზრდის საქმის ელემენტარულ საკითხებსაც არ იცნობენ, არ იცვამ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა ხოლო აღმზრდელი ირ. გალენჩიკი წერა-კითხვას ასწავლის ბავშვებს. მუსიკალურ მეცადინეობას ატარებს ამ საქმის სრულიად უცოდინარი პიროვნება ფ. მამედოვა.

მესამე წელია რაც საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობს ლ. ბაბაევა. ის საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევს საბავშვო ბაღს. კოლექტივი მთლიანად თვითდინებასაა მინდობილი, მუშაკები არ ფიქრობენ პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არ ეცნობიან მოწინავე საბავშვო ბაღების გამოცდილებებს.

გარდაბნის განათლების განყოფილება (გამგე ამ. მუსტაფაევი) მიუხედავად იმისა, რომ მოთავსებულია საბავშვო ბაღის შენობაში, არავითარ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევს საბავშვო ბაღს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო ბაღის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისა და დაწესებულებაში ანტისანიტარიის შექმნისათვის საბავშვო ბაღის გამგეს ლ. ბაბაევას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

2. სუსტი პედაგოგიური მუშაობისათვის აღმზრდელს ირ. გალენჩიკს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

3. სუსტი პედაგოგიური მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური აღმზრდელს ფ. მამედოვას და განთავისუფლდეს მუსიკალური ხელმძღვანელის თანამდებობიდან.

4. საბავშვო ბაღის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს გარდაბნის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ამ. მუსტაფაევს.

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) II კვარტალში შეამოწმოს გარდაბნის საბავშვო ბაღის მუშაობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 247

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 17 მარტი

კარდანახის სბავშვო სახლის საქმიანობაზე შემოსული სიგნალების შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგენილია, რომ კარდანახის სბავშვო სახლის დირექტორმა ს. გ. მედულაშვილმა და ბუხალტერმა გ. ი. ჯადუგიშვილმა ვერ უზრუნველყვეს სბავშვო სახლის აღსაზრდელთა კვების სწორი ორგანიზაცია. დაუშვეს ამ საქმეში სერიოზული დარღვევა—დამახინჯებანი.

1957 წლის განმავლობაში აღსაზრდელებს კარაქი და კვერცხი ცალკე პროდუქტების სახით თითქმის სრულებით არა აქვთ მიღებული; სბავშვო სახლში შედგენილი მენიუ-განაწილებების მიხედვით ეს პროდუქტები პირდაპირ კერძებში ჩაშვებულად ითვლება. გაოდა ამისა, არის შემთხვევები მენიუ-განაწილებებში პროდუქტების რაოდენობის გადასწორებისა, მათში ცალკეული პროდუქტების დამატებით შეტანისა და პროდუქტების ხარჯებში ჩამოწერისა იმაზე მეტი რაოდენობით, რაც დამტკიცებული ნორმებით არის გათვალისწინებული.

მაგალითად, 1957 წ. 19 ივნისს თვითეულ აღსაზრდელზე სადილად გაცემულია 200 გრამი ძროხის ხორცი (რაოდენობა გადასწორებულია) და 130 გრამი ქათმის ხორცი. გარდა ხორცისა, წვენის დასამზადებლად ხარჯებში ჩამოწერილია (კვებაზე მყოფ 79 აღსაზრდელზე): 2,7 კგ. ბრინჯი, 23,7 კგ. კარტოფილი, 40 ცალი კვერცხი, 1, 5 კგ. ფქვილი, 1. 580 გ. კარაქი და სხვა პროდუქტი. ამასთან, სადილად თვითეულ ბავშვზე ჩამოწერილია 650 გ. კიტრი (კიტრის და ნიორის გაცემა სასადილოზე გასაცლის ფაქტურაში დამატებითაა მიწერილი). ამ დღეს თვითეული ბავშვის კვებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ახარჯულად ირიცხება 12 მან. და 20 კაპ., ნაცვლად დამტკიცებული ლი 8 მან. და 42 კაპიკისა.

1957 წლის 22 ივლისისათვის შედგენილ მენიუ-განაწილებაში (კვებაზე ირიცხებოდა 81 აღსაზრდელი) მიწერილია, სხვა ხელით, თვითეულ ბავშვზე 200 გ. ცხვრის ხორცის გაცემა, მიწერა იმითაც დასტურდება, რომ დღიური კალორაჟის გამოთვლაში ხორცი შეტანილი არ არის.

1958 წ. 4 იანვარს კვებაზე მყოფ 84 აღსაზრდელის სადილის დასამზადებლად (მენიუ-განაწილებაში აღნიშნულია „ბორშჩი“ და „მაკარონი ხორცით“) ხარჯებში ჩამოწერილია: ღორის ხორცი 25,2 კგ. ე. ი. თვითეულ ბავშვზე 300 გ. ასეთი შემთხვევები საბავშვო სახლში ხშირი იყო, როგორც 1957 წ., ისე 1956 წელშიაც. 1957 წლის 29 დეკემბერს კი ს. გ. მედულაშვილმა და: ი. ჯადუგიშვილმა სხვა პროდუქტებთან ერთად ხარჯებში ჩამოსწერეს 18,2 კგ. ღორის ხორცი, მაშინ, როდესაც ამავე დღისათვის შედგენილ მენიუ-განაწილების მიხედვით აღსაზრდელებზე ხორცი გაცემული არ ყოფილა.

აღსაზრდელთათვის არასრულფასოვანი კერძების მიცემის შემთხვევა აღრიცხულია გურჯაანის სანეპიდსადგურის მიერ 1957 წლის განმავლობაში ჩატარებული ქიმიური ანალიზით.

1957 წელს ს. გ. მედულაშვილის და გ. ი. ჯადუგიშვილის მიერ ხშირ შემთხვევაში დაშვებული იყო ღორის ხორცის დიდი რაოდენობით შეძენა კერძო პირთაგან ნაღდ ანგარიშზე, მაშინ როდესაც ბაკურციხის სასოფლო კოოპერატივს ამავე პერიოდში ჰქონდა შესაძლებლობა მოემარაგებინა საბავშო სახლი საჭირო რაოდენობის ხორცით.

საბავშო სახლის მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კერძო პირთაგან შეძენილ 2818,3 კლგ ღორის ხორციდან 787 კლგ. ეკუთვნოდა საბავშო სახლის თანამშრომლებს: რ. ი. გველუკაშვილს, ზ. ა. ელიკაშვილს, ი. გ. ხიმშიაშვილს, ვ. ი. ლუაშვილს, ვ. ი. ყანდიაშვილს, ს. კ. შავერდაშვილს, ხოლო 360 კგ. თვით ს. გ. მედულაშვილის ნათესავებს (მამა ,ძმა და სხვ.). რიგ შემთხვევებში ხორცის შეძენა სწარმოებდა ერთი და იმავე პირებისაგან.

ამავე პერიოდში, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა კერძო პირთაგან ნაღდ ანგარიშზე კვერცხის, თევის, ხილის და ხახვის შეძენას.

კარდანახის საბავშო სახლის მნე მ. მ. ბეგაშვილი, რომელიც გაფორმებულია ანგარიშვალდებულ პირად, ხშირად არღვევს საავანსო ანგარიშების შედგენისა და წარდგენის წესებს, აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში, საბავშო სახლის სამეურნეო კომისიის მონაწილეობის გარეშე აბარებს საწყობს შეძენილ პროდუქტებს.

1957 წელს საბავშვო სახლში ჩატარებულ სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელად ს. გ. მედულაშვილის მიწვეული იყო განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერ-ინსპექტორი ვ. ლ. ხუციშვილი, რაშიც მას გადაუხადა ხელფასის სახით 2300 მანეთი.

სამუშაოთა შესრულების აქტებში (ფორმა № 2) ს.გ. მედულაშვილმა და ვ. ლ. ხუციშვილმა ზოგიერთი სახის სამუშაოთა მოცულობა ხელოვნურად გაზარდეს, ხოლო ზოგიერთი ისეთი სახის სამუშაო შეიტანეს, რომლებიც სრულებით არ ყოფილა შესრულებული. ამ შეუსრულებელ სამუშაოთა ღირებულება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეადგენს 7.314 მან.

სამუშაოთა მოცულობის გადიდებამ გამოიწვია ისიც, რომ შრომისა და ხელფასის გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდში (გამოყოფილი თანხის 60%) დაშვებულია გადახარჯვა 4880 მანეთი.

ვ. ლ. ხუციშვილი, ს. გ. მედულაშვილი და გ. ი. ჯადუგიშვილი არღვევდნენ სამუშაოს შესრულებაზე განრიგების შედგენისა და მუშებზე ხელფასების გაცემის არსებულ წესებს. მსგავს დარღვევებს ადგილი აქვს სხვა განრიგებისა და ხელფასის უწყისების შედგენისა და მუშებთან ანგარიშსწორების დროსაც. როგორც გამოირკვა, მუშებთან ანგარიშსწორებას ზოგჯერ თვით ს. გ. მედულაშვილი აწარმოებდა, რაც კატეგორიულად აკრძალულია.

ს. გ. მედულაშვილისა და გ. ი. ჯადუგიშვილის მიერ არ იყო აღრიცხული თუ რა გამოსაყენებელი მასალა (თუნუქი, ხის მასალა, შუშა) იქნა მიღებული საბავშვო სახლის სამზარეულოს სახურავის დაშლით. ასევე არ არის აღრიცხული სახეების მიხედვით მშენებლობაზე ჩამოწერილი 18,5 m^3 მორების დახერხვით მიღებული მასალა. ამავე დროს, მშენებლობასა და რემონტზე ნაწილობრივ გამოყენებულია სახურავის დაშლით მიღებული ვარგისი თუნუქი.

საბავშვო სახლში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა აზომვით მიღებული შედეგებისა და ხარჯებში ჩამოწერილი სამშენებლო მასალების რაოდენობის შედარებით ადგილი აქვს 5, 42 m^3 ხის მასალის, 0,5 ათასი ცალი აგურის, 54 ცალი შიფერის, 51,2 კვ. მ. ფანჯრის მინის და 2,8 ტ. კირის დანაკლისს, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს—3196 მან. და 47 კაპ., რაზედაც პასუხისმგებელნი არიან ს. გ. მედულაშვილი და გ. ი. ჯადუგიშვილი.

გამოირკვა, რომ საბავშვო სახლის თხების სადგომში იმყოფე-

ბოდა ს. გ. მედულაშვილის, შრომის ინსტრუქტორ რ. ი. გველესიანის, კაშვილის და სოფელ კარდანახის მცხოვრებლების—კ. გულიაშვილის და ფ. ბერიაშვილის საკონელიც, მთელი სულადობის 44,5%, რაც დაუშვებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობას 1957 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა არ აქვს შესრულებული.

სამტრესტის კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში და კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საბავშვო სახლის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ სამუშაოთა გასამრჯელოს სახით რ. ი. გველუკაშვილის ხელით სულ მიღებულია 1.516 მან. და 59 კაპ., რომელთაგან ს. გ. მედულაშვილს ჩაბარდა 1.325 მან. და 42 კაპ. მიღებული თანხა შენახველ სალაროში შეტანილი, ან შემოსავალში აღებული არ ყოფილა.

თანახმად ს. გ. მედულაშვილის მიერ წარმოდგენილი აქტებისა 893 მან. დახარჯული იყო 1956 წ. 11 ივლისს ლაგოდეხის ნაკრძალში ჩატარებულ ეკსკურსიაზე და 280 მან. აღსაზრდელთათვის შოკოლადის შეძენაზე, ხოლო 191 მან. და 17 კაპ. დახარჯულია ნაყინის შეძენაზე (აქტის შედგენის გარეშე) და 150 მან. დღემდე ირიცხება აღმზრდელ ლ. ნ. ჩალათაშვილზე.

საბავშვო სახლში 1957 წ. ჩატარებულ მშენებლობაზე და რემონტზე, აგრეთვე ღუმელების დამზადებაზე ს. გ. მედულაშვილმა და გ. ი. ჯადუგიშვილმა ხარჯებში ჩამოსწერეს 500 კგ. ახალი თუნუქი (100 ფურცელი), ანუ მთელი რაოდენობა მიღებული თუნუქისა. 1958 წ. 1 იანვრისათვის საბავშვო სახლში ჩატარებული აღწერით საწყობში თუნუქი არ ირიცხებოდა, ფაქტიურად კი 1958 წ. 29 იანვრის მდგომარეობით კარდანახის საბავშვო სახლის საწყობის გამგეს ნ. გ. ქიტიაშვილს საწყობში აღმოაჩნდა 225 კგ, ანუ 45 ფურცელი ახალი თუნუქი.

განათლების სამინისტროს მუშაკთა მიერ 1958 წ. 10 იანვარს ჩატარებული მოულოდნელი აღწერით, ნ. გ. ქიტიაშვილსავე აღმოანაჩნდა სხვადასხვა სახის პროდუქტების დანაკლისი 897 მან. და 01 კაპ. საერთო ღირებულებისა და მეტობა—184 მან. 02 კაპ. ღირებულებისა.

კარდანახის საბავშვო სახლის დოკუმენტური რევიზია და შემოწმება უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩატარებული აქვს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების ინსპექტორ-რევიზორს ა. ქ. მოსაშვილს, რომელმაც ვერ გამოამჟღავნა ამ სახლში არსებული და ზემოთმოყვანილი დამახინჯებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კარდანახის საბავშვო სახლში არსებულ დარღვევათა, უკანონო მოქმედებათა და დამახინჯებათა დაშვებისათვის მოიხსნან თანამდებობიდან: საბავშვო სახლის დირექტორი ს. გ. მედულაშილი, ბუხჰალტერი გ. ი. ჯადუგიშვილი, საწყობის გამგე ნ. გ. ქიტიაშვილი, მზარეული ა. გ. მჭედლიშვილი, ხოლო ექთან ე. დ. გველუკაშვილის საკითხი გადაეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

2. კარდანახის საბავშვო სახლში შემოწმების ჩატარების პროცესში არსებულ დამახინჯებათა გამოსავლინებლად და აღსაკვეთად სათანადო ზომების მიუღებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების ინსპექტორ-რევიზორს ა. ქ. მოსაშვილს და გაფრთხილებული იქნეს, რომ მსაგავსი შემთხვევის დაშვებისათვის მის მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

3. კარდანახის საბავშვო სახლში სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს დაშვებულ დამახინჯებებთან დაკავშირებით კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერ-ინსპექტორ ვ. ლ. ხუცაშვილის საკითხი განხილულ იქნას ცალკე.

4. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსს ვ. ი. ჩინჩალაძეს:

ა) აღმოუჩინოს დახმარება კარდანახის საბავშვო სახლის ხელმძღვანელობას გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისა და კადრებით დაკომპლექტების საქმეში:

ბ) კადრების განყოფილებასთან ერთად ერთი კვირის განმავლობაში შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა კარდანახის საბავშვო სახლის დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად;

გ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

5. დაევალოს კარდანახის საბავშვო სახლის დირექტორს:

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს საბავშვო სახლის მთელი საქმიანობა და არ დაუშვას მომავალში ის დამახინჯებანი, რაც აღნიშნულია ამ ბრძანებაში;

ბ) გადასინჯოს და დააკომპლექტოს საბავშვო სახლის სამეურნეო პერსონალი შესაფერისი, ნდობით აღჭურვილი პირებით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 11 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

გ. ჯიბლაძე

1958 წლის 1 მარტი

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო წლის დამთავრებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ

1. გამოსაშვები გამოცდები სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ტარდება „დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო წლის დამთავრების და გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის (1957 წლის გამოცემა) შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში დაწესებულია თერთმეტწლიანი სწავლება.

2. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების I—VI კლასებში მეცადინეობა წყდება 30 აპრილს, VII კლასში 12 აპრილს, VIII—IX—X კლასებში კი 30 აპრილს.

3. VII კლასში გამოცდები იწყება 16 აპრილს და მთავრდება 30 აპრილს.

გამოცდები VII კლასში ტარდება შემდეგ საგნებში.

მშობლიურ ენაში—წერითი და ზეპირი, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) წერითი და ზეპირი, ალგებრაში—არითმეტიკით—წერითი; სულ 5 გამოცდა, მათგან 3 წერითი 2 ზეპირი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლიტერატურულ კითხვაში VII კლასში საბოლოო ნიშნად წლიური ნიშანი იწერება.

4. წერითი გამოცდები VII კლასში ტარდება:

ა) მშობლიურ ენაში—16 აპრილს;

ბ) ალგებრაში—არითმეტიკით—21 აპრილს;

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) 25 აპრილს.

5. VII კლასში წერითი გამოცდებისათვის მოსწავლეებს შეედეგი სახის სამუშაო ეძლევათ: მშობლიურ ენაში მცირე მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოების ან ცალკე ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა; მოსწავლეებს ეძლევათ სამი თემა, რომელთაგან მათ უფლება აქვთ ერთ-ერთი აირჩიონ.

რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის ან ნაწყვეტის შინაარსის გადმოცემა, მისი წინასწარი წაკითხვით კლასში.

ალგებრაში—არითმეტიკით—ერთი ამოცანა ალგებრიდან და ერთი მაგალითი არითმეტიკიდან.

ამოცანები და მაგალითები ალგებრაში — არითმეტიკით VII კლასის მოსწავლეებს ეძლევათ ორ ვარიანტად, თანაბარი სიძნელისა.

წერითი გამოცდებისათვის VIII კლასების მოსწავლეებს ეძლევათ დრო არა უმეტეს სამი ასტრონომიული საათისა.

6. საგამოცდო თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს VII კლასისათვის ადგენს რაიონის განათლების განყოფილება, რომელიც ამ მასალებს ამრავლებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის საჭირო რაოდენობით, საგნების მიხედვით, ათავსებს პაკეტებში და ლუქავს, პაკეტზე აღნიშნავს გამოცდების ჩატარების თარიღს და აბარებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს გამოცდის წინა დღეს. პაკეტს ხსნის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე კლასში საგამოცდო კომისიის წევრთა და მოსწავლეთა თანდასწრებით, უშუალოდ გამოცდების დაწყების წინ.

7. VII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის თანძილზე ყველა ძირითად საგანში აქვთ შეფასება არანაკლებ „3"-სა, გამონაკლისის სახით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ გამოსაშვები გამოცდებისაგან რაიონის განათლების განყოფილების მიერ.

სკოლის დამთავრების მოწმობა ამ შემთხვევაში უნდა გაიცეს წლიური შეფასების საფუძველზე.

უგამოცდოდ შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა ხდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რასაც თანდართული უნდა ჰქონდეს სამკურნალო დაწესებულებების საექიმო კომისიის დასკვნა, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და მოსწავლის დახასიათება.

სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის, და აგრეთვე წლიური ნიშნები VII კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანში. წერითი და ზეპირ გამოცდებზე მოსწავლის ძიერ მიღებული ყველა შეფასება (იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად).

შუამდგომლობა მოსწავლის გამოცდებისაგან განთავისუფლების შესახებ სათანადო მასალებით განათლების განყოფილებაში მიღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 12 აპრილისა, თუ იგი 12 აპრილიდან გამოცდების დაწყებამდე გახდება ავად 21 აპრილამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად 30 აპრილამდე.

ამ ვადების შემდეგ წარდგენილი შუამდგომლობები განათლების განყოფილების მიერ განხილული არ იქნება და მასალების დაგვიანებით წარდგენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება სკოლის დირექტორს.

8. VII კლასის მოსწავლეთათვის, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ და გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდნენ, რაიონის განათლების განყოფილება ადგენს დამატებით თემებს სკოლებისათვის დასაგზავნად.

პაკეტი სათადარიგო თემებით VII კლასში უნდა გაიხსნას:

ა) მშობლიურ ენაში — 23 აპრილს;

ბ) ალგებრაში — არითმეტიკით — 26 აპრილს;

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — 29 აპრილს.

9. VII კლასებში წერითი გამოცდები საღამოს 7 საათიდან იწყება.

10. ზეპირი გამოცდები წარმოებს ბილეთებით, რომლებსაც ადგენს სათანადო საგნის მასწავლებელი, ამ საგამოცდო ბილეთებს იხილავს პედაგოგიური საბჭო და გამოცდების დაწყებამდე 20 დღით ადრე ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ბილეთები უნდა იყოს თანაბარი სიძნელისა. თვითეული ბილეთი უნდა შედგებოდეს სასწავლო პროგრამიდან აღებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლეებისათვის გასაგები და გარკვევით დაწერილი საკითხისაგან. თითოეულ საგანში დაახლოებით 20-30 ბილეთი დგება. ბილეთში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოწურავდეს სასწავლო პროგრამას.

11. I, II, III, IV, V, VI, VIII, IX და X კლასების მოსწავლეების კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება წლიური ნიშნების საფუძველზე; შემდეგ კლასებში გადაიყვანებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ასწრებენ ყველა საგანში.

12. I, II, III, IV, V, VI, VIII, IX და X კლასების მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ არადამაკმაყოფილებელი შეფასება ერთ ან ორ საგანში, ეძლევათ საზაფხულო დავალება, რომლის შემოწმება ტარდება 20 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე (ჩათვლით).

13. მოსწავლეები, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ წლიურ ნიშანს მიიღებენ სამ და მეტ საგანში, კურსის განმეორებით გასავლელად რჩებიან იმავე კლასში.

14. VII კლასების მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ არადამაკმაყოფილებელი შეფასება ერთ ან ორ საგანში, ეძლევათ საშემოდგომო გამოცდა.

15. საშემოდგომო წერითი გამოცდები VII კლასში ჩატარდება:

ა) მშობლიურ ენაში—21 ოქტომბერს;

ბ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) 24 ოქტომბერს;

გ) ალგებრაში არითმეტიკით—28 ოქტომბერს.

საშემოდგომო გამოცდები ტარდება საგაზაფხულო გამოცდებისათვის დადგენილი წესის ზუსტი დაცვით.

სკოლების სამმართველოს მუშა და
ხოფლის ახალგაზრდობის სკოლების
განყ. უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარული წერილი

№ 1/373

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

პრაქტიკულ მეცადინეობასა და პრაქტიკუმებში შეფასებათა შესახებ

პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმების სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით 1957—58 სასწავლო წლიდან შვიდი კლასის დამთავრების მოწმობასა და სიმწიფის ატესტატში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეაქვს დამატებითი შეფასებანი: მოწმობაში—პრაქტიკული მეცადინეობა; სიმწიფის ატესტატში—პრაქტიკუმები.

7 კლასის დამთავრების მოწმობაში შეიტანება სასწავლო სახელოსნოებსა და სასწავლო საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის ერთი შეფასება, რომელიც გამოიყვანება მე-7 კლასის წლიური ნიშნის საფუძველზე ამ საგნების ან ერთ-ერთი მათგანის მიხედვით (თუ მეორე არ ისწავლება). სიმწიფის ატესტატში შეიტანება აგრეთვე პრაქტიკუმების ერთი შეფასება. იგი გამოიყვანება ამ საგნში მე-10 (მე-11) კლასის წლიური შეფასების საფუძველზე.

პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმების ნიშნები უნდა იყოს მხედველობაში მიღებული სხვა სასწავლო საგნებთან თანაბრად, მოსწავლეთა შემდეგ კლასში გადაყვანის, სკოლიდან გამოშვებისა და დაჯილდოებისას. სკოლების ხელმძღვანელებს ეს გარემოება ავალებს გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა და მშობლთა შორის და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ამ საგნების სწავლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლებისადმი მეთოდურ დახმარებას და მოსწავლეებში ამ საგნებისადმი მეტი პასუხისმგებლობით დამოკიდებულების გრძნობის აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც მიმდინარე სასწავლო წელს გამოყენებული იქნება 7 კლასის დამთავრების მოწმობისა და სიმწიფის ატესტატის ძველი ნიმუშის ბლანკები, რომლებშიც არ არის შეტანილი პრაქტიკული მეცადინეობა და პრაქტიკუმები, სკოლებმა აუცილებლად უნდა შეიტანონ ტუშით ეს საგნები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განთავისუფლებულია პრაქტიკული მეცადინეობისა და პრაქტიკუმებისაგან, ეს საგნები შეიტანება 7 კლასის დამთავრების მოწმობასა და სიმწიფის ატესტატში, ხოლო შეფასების (ნიშნის) ადგილზე გაესმის ხაზი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 256

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 19 მარტი

პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლების 1957 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულების შედეგების შესახებ

პედაგოგიურ ინსტიტუტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა 1957 წელს ითვალისწინებდა 578 თემის დამუშავებას. საანგარიშო წელს შესასრულებელი იყო 523 თემა, ხოლო 65—გარდამავალი.

წლის განმავლობაში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების გამო (ინსტიტუტიდან წასვლა, პენსიაზე გადასვლა და სხვ.) შესასრულებელი დარჩა 556 თემა, აქედან შესრულებულია 520, ანუ 99,5%.

საანგარიშო წელს 770 პროფესორ-მასწავლებლიდან სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმული იყო 674 კაცი, რაც 87,4% შეადგენს.

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა შემდეგ სურათს იძლევა: ზოგადსამეცნიერო ხასიათის თეორიული ექსპერიმენტული გამოკვლევები—138, შესრულებულია 128; სამეცნიერო ხასიათის სტატიები—194, შესრულებულია 177; სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები—99, შესრულებულია 94; სასწავლო მეთოდური ხასიათის თემები—74, შესრულებულია 73; სადისერტაციო შრომები—41, შესრულებულია 38.

წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 1957 წლის თემატიკა ძირითადად აქტუალურ საკითხებს შეიცავდა და საკმაოდ მრავალფეროვან სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებდა.

პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გარდაქმნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ამაღლდა შესრულების ხარისხი და პასუხისმგებლობა. პედაგოგიურ ინსტი-

ტუტების ხელმძღვანელები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმდინარეობას საკმაო ყურადღებას აქცევენ; საბჭოს ს ადმიბზე ისეთი კათედრის გამგეთა ანგარიშებს, ხოლო კათედრის გამგეები თავის მხრივ—კათედრის წევრთა ანგარიშებს, აძლევენ შენიშვნებს, უთითებენ ნაკლზე, სახავენ ღონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისა და დროულად შესრულების უზრუნველყოფისათვის. ყველა შესრულებული თემა განხილულია კათედრის სხდომებზე, რეცენზირებული და დამტკიცებულია საბჭოს მიერ.

კარგად შესრულებული თემების ნაწილი მოსმენილია ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა მორიგ სამეცნიერო სესიებზე და კონფერენციებზე, ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები.

შესრულებული თემების ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“ ან მომზადებულია დასაბეჭდად.

მიუხედავად წარმატებებისა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ამჟამად პედაგოგიური ინსტიტუტების წინაშე. ჯერ კიდევ სუსტად მუშავდება სასკოლო ცხოვრების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლება.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემები კათედრაზე მუშავდება ცალკეული წევრების მიერ და არ ხდება მათი კოორდინაცია, ნაკლები ყურადღება ექცევა კომპლექსური თემების დამუშავებას. თემების უმეტესი ნაწილი მხოლოდ სამეცნიერო სტატიებით ამოიწურება.

დამთავრებული მეცნიერული შრომები, რომელთაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ, ნაკლებად ინერგება წარმოებაში, მაგალითად, გასული წლის 25 აპრილის № 489 ბრძანებით ინსტიტუტის დირექტორებს ევალებოდათ წარმოედგინათ სამინისტროში დამთავრებული თემების სახალხო მეურნეობაში დანერგვის ვეგმის პროექტი, მაგრამ არც ერთ ინსტიტუტს არ შეუსრულებია.

პედაგოგიური ინსტიტუტების მასწავლებელთა ნაწილი ნაკლებად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 770 პროფესორ-მასწავლებლიდან ხარისხი აქვს 368 კაცს, ანუ 47,8%, ნახევარზე მეტი უხარისხოა. ზოგიერთი მასწავლებელი დღემდე ვერ ახერხებს სამეცნიერო მუშაობა სასწავლო მუშაობას შეუფარდოს; არიან მასწავლებლები, რომლებიც წლობით არ ასრულებენ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გეგმას თავისი მოვალეობისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამთ, მაგალითად, სოხუმის პედინსტიტუტ-

ში არ შეასრულა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა ენებისა და რუსული ენის კათედრის წევრთა უმრავლესობამ, ასევე დოც. ს. გამცემლიძემ, ასისტ. თ. წერეთელმა, ა. ფიქარიძემ და ი. ტაბაღუამ.

მიუხედავად იმისა, რომ 489 ბრძანებით ინსტიტუტის დირექტორებს ევალებოდათ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სასწავლო დატვირთვა 1957 წლიდან ეწაომოებინათ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის აღრიცხვის მიხედვით, ექვს საათიან სამუშაო დღის ხანგრძლივობით და დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, საათანადო დასკვნა ვერ გაეკეთეს და მასწავლებლები, რომლებიც ვერ იძლევიან მეცნიერულ პროდუქციას საკვლევო მუშაობით, არ გაათავისუფლეს სამეცნიერო დატვირთვისაგან და ვერ დატვირთეს ისინი მაქსიმალურად სასწავლო საათებით.

ზოგიერთი ლექტორი არღვევს თემის წარმოდგენის ვადებს, ან კიდევ თვითნებურად ცვლის დამტკიცებულ თემას ისე, რომ დირექტორსაც არ აცნობს ამის შესახებ (ბათუმის, ა. პუშკინის სახ. თბილისის, თბილისის უცხო ენათა და თელავის პედინსტიტუტები). ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ზოგიერთი კათედრის გამგე სუსტად ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმდინარეობას და კათედრაზე არ ხდება შესრულებული თემების ფართო განხილვა. შესრულებული თემების ზოგიერთი ანოტაცია სუსტია და ზერელედაა დაწერილი. ზოგიერთ ინსტიტუტში დადგენილი ფორმით არ იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა (თბილისის უცხო ენათა და ა. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტები).

ინსტიტუტის დირექტორები საკმაო კონტროლს ვერ უწევენ კათედრებს იმ დიდი და აქტუალური საკითხების გადასაჭრელად, რომელიც დასმულია ჩვენი ქვეყნის მეცნიერების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ მეტად ფერხდება პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და სასწავლო-მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელოების დაბეჭდვის საქმე.

ზოგიერთ ინსტიტუტს არ აქვს საჭირო მატერიალური ბაზა ექსპერიმენტული მუშაობის ჩასატარებლად, განსაკუთრებით ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში (თელავი, სტალინირი) არ ხდება კაბინეტ-ლაბორატორიების შევსება საჭირო ინვენტარით და აპარატურით.

ზოგიერთმა ინსტიტუტმა ვერ შეძლო ინსტიტუტის „შრომების" მორიგი ტომის გამოშვება (თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ ა. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიურ-მა ინსტიტუტმა დაგვიანებით წარმოადგინა შეჯამებული ანგარიში.

პედაგოგიურ ინსტიტუტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1 პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორებმა:

ა) სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საფუძვლად დაუდონ იმ აქტუალური საკითხების დამუშავება, რომლებიც ისმის პედაგოგიური ინსტიტუტების წანაშე სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში;

ბ) მოსთხოვონ კათედრის გამგეებს გულდასმით განიხილონ კათედრის წევრთა მიერ შერჩეული თემატიკა და ამის შემდეგ დამტკიცონ იგი საბჭოზე; სისტემატური კონტროლი გაუწიონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმის შესრულების მიმდინარეობას. მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ კათედრის წევრთა მიმართ თემების დამუშავების დროს. მოაწყონ შესრულებული თემების წესიერი რეცენზირება და ფართო განხილვა.

არ მიიღონ კათედრებიდან არც ერთი შრომა რეცენზიისა და ანოტაციის გარეშე, მოსთხოვონ კათედრებს სრულყოფილი რეცენზიები;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშუშევრების პუბლიკაციისათვის;

დ) აღრიცხონ განსაკუთრებული მნიშვნელობის თემატიკა და მეთვალყურეობა გაუწიონ მის შესრულებას;

ე) თემატიკის შერჩევის დროს ყურადღება მიაქცინონ დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებისათვის მეთოდური მითითებების, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადების საკითხს;

ვ) მიაღწიონ იმას, რომ ყოველწლიურად იცემოდეს ინსტიტუტის შრომები, სადაც იბეჭდებოდეს შესრულებული აქტუალური ნაშრომები, განსაკუთრებით კი სადისერტაციოდ განკუთვნილი შრომების გარკვეული ნაწილი;

ზ) ანგარიშგება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულებაზე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში დადგენილი ვადისათვის.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ მომავალში პედაგოგიურ ინსტიტუტებში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დაგეგმვა ხდებოდეს არა კალენდარული, არამედ სასწავლო წლის მიხედვით.

3. დაევალოს პედაგოგიურ ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოს (ი. გვერდწითელი):

ა) მოახდინოს მომავალში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი შრომების შერჩევით რეცენზირება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

ბ) კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 14 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 276

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 22 მარტი

ზუგდიდის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზუგდიდის საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება. 1957/58 სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 79 სასკოლო ასაკის აღსაზრდელთაგან ასწრებდა მხოლოდ 60 ე. ი. 76%. ხოლო მეორე მეოთხედში—68 აღსაზრდელი ე. ი. 86%. აკადემიური მოსწრების ასეთი მაჩვენებლები გამოწვეულია იმით, რომ საბავშვო სახლის დირექტორი შ. ფარჯიკია და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე ვ. ფიფია ვერ ერკვევიან საბავშვო სახლის მუშაობის საკითხებში. რუსული სააღმზრდელო ჯგუფის აღმზრდელები კ. ჭკადუა, ნ. ლატარია ვერ ფლობენ რუსულ ენას, რის გამოც ვერ ეხმარებიან აღსაზრდელებს საშინაო დავალების მომზადებაში.

სერიოზული ნაკლოვანებით დარღვევებით და დანაშაულობრივი ფაქტებით ხასიათდება სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. ბუხჰალტერი ე. ბ. ჭკადუა სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასზედ დაკისრებულ მოვალეობას. დაუდევრად აწარმოებს პროდუქტების ხარჯვის უწყისების გაფორმებას, მენიუსა და ფაქტურების გარეშე ხდება პროდუქტების ხარჯებში ჩამოწერა. უწყისებში ადგილი აქვს პროდუქტების ჩამატებას, მენიუს—ფაქტურებისა და უწყისების გადასწორებას; ამ გზით უკანონოდ ჩამოწერილია 1957 წლის მარტიდან სექტემბრამდე 7. 530 მან. 95 კაპ. ღირებული პროდუქტები (ყოფილი დიასახლისი—მეკუჭნავე ნათელა ივანეს

ასული ჭითანავა). ასევე ამავე წლის ოქტომბერ—დეკემბრის[illegible]ებში მენიუ—ფაქტურებისა და ხარჯვის უწყისებში სხვადასხვა საეხეობის პროდუქტების ჩამატება-გადასწორების გზით უკანონოდ ჩამოწერილია 4305 მან. (ყოფილი დიასახლისი-მეკუჭნავე მავრა დომენტის ასული კაკულია).

საბავშვო სახლის დირექტორის შ. ფარჯიკიას საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო საბავშვო სახლში გაფლანგვა-დატაცების შემთხვევებს. შ. ფარჯიკია არ აკონტროლებდა და ხელს არ აწერდა პროდუქტების ხარჯვის უწყისებს. ფიქტიურად ადგენდნენ დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლის ფაქტურებს და საქონლის ჩამოწერის აქტებს. ბუხჰალტერ ე. ჭკადუას ავალებდა დამხმარე მეურნეობიდან ვითომდა ავადმყოფობით დახოცილი გოჭებისა და ქათმების ჩამოწერას.

არანორმალურადაა შესრულებული 1957 წლის ბიუჯეტი: ადგილი აქვს თანხების როგორც გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას, ასე მაგ: ყველა მუხლებით გადახარჯულია 27335 მან. აუთვისებელია 14.354 მან. მთელი წლის მანძილზე მომმარაგებელ ორგანიზაციიდან არა აქვთ მიღებული არცერთი კილოგრამი ხორცი, ხოლო კერძოდ შეძენილი ხორცის ანგარიშები ყოველთვის არ არის შემოწმებული. საწყობის შემოსავალ-გასავლის ფაქტურებს რიგ შემთხვევაში ხელს არ აწერს დირექტორი, ბუხჰალტერი და ზოგჯერ მიძღებიც კი.

ახალი, მარაგში მყოფი რბილი ინვენტარის ექსპლოატაციაში გადატანის დროს საბუთს ყოველთვის არ ერთვის აღსაზრდელთა სახელობითი ხელმოწერილი სია. შეშის შემოსავალზე ხელს არ აწერს საწყობის გამგე, ხოლო ჩამოწერის საბუთი არასრულყოფილია, დარღვეულია საკრედიტო რეფორმა, არ სწარმოებს თანაშრომლებზე გაცემული პროდუქტების ღირებულების სახელმწიფო ბანკში შეტანა კრედიტის აღსადგენად. კერძო მანქანით საქონლისა და მასალების გადმოტანის ანგარიშები არასწორადაა გაფორმებული. არ არის დაკავებული კუთვნილი სატრანსპორტო გადასახადი. ასი მანეთის ზევით შრომით ხელფასზე ზოგჯერ არაა გაფორმებული შრომის ხელშეკრულება და სამუშაოს შესრულების აქტი.

შემოწმების პროცესში ბუხჰალტერი ე. ბ. ჭკადუა გადაყენებული იქნა თანამდებობიდან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათ-

ვის, რის შედეგადაც საბავშვო სახლში ადგილი აქვს გაფლანგვა-გატაცების ფაქტებს, საბავშვო სახლის დირექტორი შ. ფარულავა მოიხსნას თანამდებობიდან.

2. საბუჰალტრო-აღრიცხვის არევ-დარევისათვის ყალბი დოკუმენტების გაფორმებისა და გაფლანგვა—დატაცების დაშვებისათვის მოიხსნას სამუშაოდან საბავშვო სახლის ბუჰალტერი ე. ბ. ჭკადუა.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საბავშვო სახლის ყოფილი დიასახლის-მეკუჭნავეები ნ. ი. ჭითანავა და მ. დ. კაკულია მოხსნილი არიან სამუშაოდან.

4. საბავშვო სახლის დოკუმენტური რევიზიის მასალები გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს კონკრეტული დანაშავის პასუხისგებაში მისაცემად.

5. სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს ვ. ფიფიას გამოეცხადოს საყვედური.

6. დაევალოს საბავშვო სახლის დირექციას უმოკლეს დროში უზრუნველყოს ამ ბრძანებისა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია;

7. დაევალოს მთავარ ბუჰალტერ ამხ. დ. ყარაშვილს სასწრაფოდ დამატებით ჩაატაროს დამხმარე მეურნეობის დოკუმენტური რევიზია და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

8. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე), კადრების განყოფილებასთან (ამხ. ი. კვაჭაძე) ერთად, ერთი კვირის განმავლობაში შეარჩიოს საბავშვო სახლის დირექტორის კანდიდატურა და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წ. 21 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 273

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 22 მარტი

1957—58 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში თელაველთა მოწოდების პასუხად ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადება უკანასკნელი წლების განმავლობაში სახალხო საქმედ იქცა.

1957—1958 სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად გასული წლის 8 მაისს თელავის რაიონის მშრომელებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების მშრომელებს.

თელაველთა მოწოდებას აქტიურად გამოეხმაურა მთელი რესპუბლიკა. საწარმო დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ბმა კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს და ჩაებნენ ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებასთან დაკავშირებით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ პატრიოტული თაოსნობის შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში აიგო 13 საშუალო, 22 შვიდწლიანი და 32 დაწყებითი სკოლის ახალი შენობა. დაწყებულია და მიმდინარეობს 10 საშუალო, 5 შვიდწლიანი და 3 დაწყებითი სკოლის მშენებლობა. სკოლებს გადაეცა არასპეციალური, მაგრამ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისათვის სავსებით გამოსადეგი 39 შენობა 224 ოთახით. წინა წლებში აგებულ სასკოლო შენობებზე დაშენებულია 32 და მიშენებულია 194 საკლასო ოთახი. სასკოლო შენობებზე მიშენებულია აგრეთვე სახელოსნოებისათვის 126 ოთახი. მოეწყო 105 სახელოსნო, 40 სპორტდარბაზი, 4 კლუბი და 8 სპორტმოედანი. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 212 სკოლას,

შემოიღობა 34 სკოლის ეზო, 12 სკოლას გადაეცა ჩაის 11 ჰექტარი მოსავლიანი ფართობი, ხოლო ერთ სკოლას 1 ჰექტარი ვენახი; აგებულია მასწავლებელთა 7 და 4 პიონერთა სახლი.

1957—58 სასწავლო წლისათვის მზადებისას აღებული ვალდებულებების შესრულებაში თავი ისახელეს თელავის რაიონის მშრომელებმა. სანიორეს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ბარგალიტოვი) სანიორეს სკოლას აუშენა 8 საკლასო ოთახი და 105 კვ. მეტრი სპორტული დარბაზი. აკურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. პაატაშვილი) დაიწყო და ახლო მომავალში დაამთავრებს ტიპიური საშუალო სკოლის მშენებლობას. ფშავლის, ქვემო ხოდაშენის და ყარაჯალის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები: პ. კერვალიშვილი, ა. კორვალიძე, ვ. მუსაიღოვი) სკოლებს აუგეს 6 და 4 ოთახიანი შენობები. წინანდლისა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობებმა (დირექტორები ვ. მოდებაძე, მ. ბარამია). ლობოტ-მარმარილოს კარიერების სამმართველომ (უფროსი ა. ვარდაშვილი), ფიქალ-ფსვნილის ქარანაძ (დირექტორი მ. მაჭავარიანი) და ავტოსატრანსპორტო კანტორამ (უფროსი დ. მარკოზაშვილი) სკოლებს შეუძინეს და მოუწყვეს სადურგლო, საზეინკლო სახელოსნოები და კაბინეტები. თელავის რაისაბჭოს აღმასკომის კომბინატმა (დირექტორი ი. ყარაულაშვილი) თავის დროზე უზრუნველყო სკოლები კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის საჭირო მასალით. რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილებამ (გამგე ი. პაპუნაშვილი) წესრიგზე მოიყვანა სკოლებში მისასვლელი გზები და სხვ.

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა აჭარის ასს რესპუბლიკამ, აქ 1957 წლის მანძილზე აგებულია 19 დაწყებითი, 7 შვიდწლიანი და 5 საშუალო სკოლა; სამი საშუალო სკოლის შენობაზე დაშენებულია თითო სართული. სახელოსნოებისათვის სპეციალურად აშენებულია 4 ახალი შენობა 12 ოთახით. სახელოსნოები მოწყობილია 31 სკოლაში. გადაკეთებულ იქნა 27 სასკოლო შენობა და კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 97 საშუალო სკოლას, სასკოლო ინტერნატებისათვის აგებულია 3 და მასწავლებლებისათვის 5 ახალი შენობა. მოწყობილია სასპორტო მოედნები 25 სკოლაში. აჭარის ასსრ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით გასული სასწავლო წლის სანიმუშოდ მომზადებისათვის დაწესებულ იქნა გარდამავალი დროშა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის აქტივისა და მთელ მოსახლეობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ რესპუბლიკის ზოგიერთი კოლმეურნე-

ობისა და წარმოება-დაწესებულების ენტუზიაზმი ახალი სასკოლო შენობათა მშენებლობისა და პოლიტექნიკური სწავლებისათვის. მეორე მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ქობულეთის რაიონის სოფ. ალამბრისა და ხალას. ბათუმის რაიონის ახალსოფლისა და კპარეულის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები შ. ქათამაძე. ა. ფალავანდიშვილი. მ. ბეჟანიძე, მ. აბაშიძე) ახალი შენობები ააგეს საშუალო და შვიდწლიანი სკოლებისათვის. სკოლებისათვის ახალი შენობები ააგეს აგრეთვე ხულოს რაიონის ფაჩხის და სკვანის კოლმეურნეობებმა (ა. მახარაძე, ა. ჯაიანი). სკოლის მშენებლობის საქმეში თავი ისახელა შუახევის რაიონმა, სადაც აგებულ იქნა 14 ახალი სასკოლო შენობა, ამათგან ორი საშუალო სკოლისათვის. სკოლების მშენებლობის საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. დარჩიქეების კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. ცეცხლაძის მუშაობა. ქედის რაიონში აშენებულ იქნა 2 საშუალო და 2 დაწყებითი სკოლის ახალი შენობა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხარაულას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. ბერიძე.

სასკოლო მშენებლობის ამგვარად გაშლის შედეგად ხულოს, ქედის, შუახევის რაიონების სკოლებსა და აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების რიგ სკოლებში 1957-58 სასწავლო წლიდან მეცადინეობა ერთ ცვლაში მიმდინარეობს.

თელაველთა მოწოდების საპასუხოდ დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში. ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. თოდუა) ამაკე სოფლის შვიდწლიან სკოლას გადასცა ორსართულიანი, 23 ოთახიანი კაპიტალური შენობა. სოფელ რუხის კოლმეურნეობამ „ახალი-აბასთუმანი" (თავმჯდომარე შ. ხარებავა) ამავე სოფლის შვიდწლიან სკოლას გადასცა ორსართულიანი 18 ოთახიანი კაპიტალური შენობა, რის შედეგადაც სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდა. ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. შეროზია) საშუალო სკოლას აუშენა ხის 11 ოთახიანი შენობა, კაპიტალურად შეაკეთა სკოლის ძირითადი კორპუსი, მასზე მიაშენა ორი ოთახი სახელოსნოებისათვის, სკოლისათვის შეიძინა 5000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები, 50 ცალი მერხი და 100 ცალი ვენური სკამი. სულ ამ რაიონის სკოლებს გადაეცა 5 შენობა 65 ოთახით, სასკოლო შენობებზე მიშენდა 17 ოთახი, დაწყებულია და მიმდინარეობს ახალი შენობების აგება 1 დაწყებითი და 1 შვიდწლიანი სკოლისათვის. გორის რაიონის ქვ. ნიქოზისა და კარალეთის კოლმე-

ურნეობებმა (თავმჯდომარეები დ. კოლოტაშვილი, მ. ჯაბაშვილი, პატარა გარეჯვრისა და ხემო ხვთის შვიდწლიანი სკოლებისათვის ააგეს ახალი 7—7 ოთახიანი შენობები, ამავე რაიონის სკრის (თავმჯდომარე ბ. მერაბაშვილი). ზეღლულეთის (თავმჯდომარე დ. დოთიაშვილი), შავშვების (თავმჯდომარე ე. თომაშვილი) კოლმეურნეობებმა კირბალის, კოშკების, ახალშენის, ნაწოტის დაწყებითი სკოლებისათვის ააგეს 4—4 ოთახიანი შენობები. ხოლო მეჯვრისხევის, ხელთუბნისა და ზერტის კოლმეურნეობებმა ამავე სოფლის შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლების შენობებზე მიაშენეს 4—4 ოთახი. მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ორაგველიძე) კანტორის შენობა გადააკეთა სასკოლო შენობად, რაზედაც დაიხარჯა 100000 მანეთი და 1957 წლის 1 სექტემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცა სკოლას. 1957 წელს დაიწყეს საშუალო სკოლებისათვის ახალი შენობის აგება და 1958 წლის 1 სექტემბრისათვის დაამთავრებენ ურეკის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი შ. გოგუაძე), ანასეულის ჩაის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (დირექტორი დ. ქანცხავა) და მელექედურის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ჯიჯეიშვილი). გურიანთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე პ. ბელიქანიძე) გურიანთის საშუალო სკოლის შენობას მიაშენა 8 საკლასო ოთახი და ფიზკულტურის დარბაზი, რაზედაც დახარჯა 150000 მანეთი. ნაგომრის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. სარიშვილი) ნაგომრის საშუალო სკოლისათვის ააგო დაწხმარე ნაგებობა, რაზედაც დახარჯა 70000 მანეთი, ჯუმათის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ტაკიძე) ჯუმათის საშუალო სკოლას აუგო შენობა, რაზედაც დახარჯა 750000 მანეთი. ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი თ. სურგულაძე) მელექედურის სკოლას აუგო სახელოსნოს შენობა. სასკოლო შენობების ფართობის გადიდების შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდნენ ქ. მახარაძის მეორე, ნაგომრისა და გურიანთის საშუალო სკოლები. განახლებისა და ლიხაურის კოლმეურნეობებმა განახლების შვიდწლიან და ლიხაურის სასკოლო შენობებს ჩაუტარეს კაპიტალური რემონტი, დაეხმარნენ აგრეთვე სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებით შეესების საქმეში, რაზედაც დახარჯეს 70000 მანეთი. წარმატებით და დროულად შეასრულეს აღებული ვალდებულებანი ნატანების, შემოქმედის, სილაურის, სოფ. მახარაძის კოლმეურნეობებმა და ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა, მათ თავიანთი თანხებით კაპიტალური რემონტი

გაუკეთეს 4 საშუალო, 6 შვიდწლიანსა და 9 დაწყებით სკოლას, რაზედაც დახარჯეს 144500 მანეთი. სოფ. მახარაძის, განახლების, შემოქმედის, მთისპირის, მელექედურის, ბახვისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა რაიონის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის შეიძინეს 47000 მანეთის ხელსაწყო იარაღები. ლანჩხუთის რაიონის სუფსის ნავთსაქაჩის წარმოებამ (დირექტორი ტ. დოლიძე), ხიდმაღალისა და ახალსოფლის კოლმეურნეობებმა სუფსის საშუალო სკოლას აუგეს სასწავლო-სახელოსნოებისათვის ოთხოთახიანი შენობა. მამათის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. გოგუაძე) საკუთარი ხარჯებით ააგო მამათის საშუალო სკოლის სახელოსნოსათვის 3 ოთახიანი შენობა. ნიგზეიანისა და წყალწმინდის მარქსის სახელობის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები ვ. იმნაძე და დ. მიქაბერიძე) ხაჯალიისა და წყალწმინდის შვიდწლიანი სკოლებისათვის აგებენ 10 ოთახიან კაპიტალურ შენობებს, რომლებიც მზად იქნება 1958-59 სასწავლო წლის დასაწყისისათვის. ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ლომაძე) ვალდებულება აიღო ლესის საშუალო სკოლისათვის ააგოს ტიპიური კაპიტალური შენობა და 1959 წლისათვის გადასცეს იგი სკოლას. ზემო აკეთის, ქვემო აკეთის და ჭანჭათის კოლმეურნეობები შეეროებული ძალებით აგებენ აკეთის საშუალო სკოლისათვის კაპიტალურ შენობას, რომელზეც გასულ 1957 წელს დაიხარჯა 200000 მანეთი. ჩოხატაურის რაიონის ძირგანახლების კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. ყაჭეიშვილი) ამავე სოფლის საშუალო სკოლას გადასცა 5 ოთახიანი შენობა და ერთი ჰექტარი ჩაის მოსავლიანი ფართობი. ამავე სკოლასთან დაიწყეს დამხმარე შენობის აგება, რომელიც დასრულდება მომავალ წელს და დაჯდება 235000 მანეთი. მომდინარე სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში რაიონის სკოლებს შეემატა 41 საკლასო ოთახი, სამი ფიზიკური კულტურის დარბაზი, სამი სასკოლო კლუბი. სრულყოფილად მოეწყო ხიდისთავის, ჩოხატაურის პირველი, საჭამიასერის, ერკეთის საშუალო სკოლების ფიზკულტურის მოედნები. ამ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 9 საშუალო და 7 შვიდწლიან სკოლას გადასცეს 10 ჰექტარზე მეტი ჩაის მოსავლიანი ფართობი, რომლის წლიური შემოსავალი დაახლოებით 140000 მანეთს შეადგენს. კაჭრეთის რაიონის კაკაბეთის ვერხვიანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. კოზმანაშვილი) გარდა იმისა, რომ სოფელ კაკაბეთის სკოლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ვერხვიანის დაწყებით სკოლასაც მიაშენა ორი საკლასო ოთახი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის კარმიდამო გაფართოვა, შეღობა ხის მასალით და სკოლა უზრუნველყო სათბობი მასალით. სოფელ კაკაბეთის წითელი ტომბრის, შვერნიკის სახელობისა და ვერხვიანის კოლმეურნეობები კაკაბეთის საშუალო სკოლისათვის აგებენ 12 ოთახიან (468 კ. მ. ფართობის) შენობას. მარნეულის რაიონის ნიზამის სახ. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ახმედოვ გაჯი) კირაჩ მუღანლოს შვიდწლიანი სკოლისათვის ააგო 6 ოთახიანი შენობა დერეფნით, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლას 1957 წლის 1 სექტემბრიდან. კუბინშევის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ურუმოვ ოდისეი) ოფრეთის საშუალო სკოლას აუგო 4 ოთახიანი კაპიტალური შენობა. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გუსეინოვ გუსეინ) 1 ქესაღლოს შვიდწლიან სკოლას გადასცა 7 ოთახიანი შენობა, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს 1957 წლის 1 სექტემბრიდან. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ ამბარის დაწყებით სკოლას აუშენა 2 ოთახიანი შენობა, ხოლო სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო მშენებლობა სოფ. ორჯონიკიძის დაწყებითი სკოლისათვის. კასპის ცემენტის ქარხანამ (დირექტორი ვ. ბაბიაშვილი) კასპის რუსულ საშუალო სკოლას მიუშენა 6 ოთახი, აღაიანის კოლმეურნეობამ აღაიანის შვიდწლიან სკოლას 2 საკლასო ოთახი, ნიგოზის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ქოქაშვილი) ნიგოზის შვიდწლიან სკოლას—5 ოთახი, ზემოხანდაკის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. გორგაძე) ზემოხანდაკის შვიდწლიან სკოლას 2 ოთახი და მეტეხის აგურის ქარხანამ (დირექტორი გ. ცხოვრებაშვილი) მეტეხის საშუალო სკოლას 2 ოთახი სახელოსნოსათვის. ქარელის რაიონის აბისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. მარგველაშვილი) ააშენა ახალი 12 ოთახიანი სასკოლო შენობა. ბრეთის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი დ. ქინქლაძე) 7 წლიანი სკოლისათვის ააშენა 6 ოთახიანი შენობა. ფცის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ოსაძე) ფცის შვიდწლიან სკოლას მიუშენა ორი საკლასო ოთახი სარდაფით, ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. თვაური) ზ. ხვედურეთის საშუალო სკოლას ოთხი საკლასო ოთახი. რუისის, ქარელის, აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და აგარის შაქრის ქარხანამ სახელოსნოები მოუწყვეს რუისის, ქარელის, აგარის, მოხისის აბისის საშუალო და ქვენატკოცის შვიდწლიან სკოლებს.

შენობების შეკეთებისა და სახელოსნოებით უზრუნველყოფის საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინეს ქ. თბილისის სკოლებს ადგილობრივმა წარმოება-დაწესებულებებმა. სტალინის სახელობის ორთ-

ქლმავალ-ვაგონების შემკეთებელმა ქარხანამ (დირექტორი ვ. მა-
(ავბერიძე) მე-4 საშუალო სკოლას მოუწყო მანქანათმცოდნეობისა
და ელექტრო-ტექნიკის კაბინეტები საჭირო ხელსაწყოებით და
დანადგარებით. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ
(დირექტორი ნ. კიზივაძე) მე-12 საშუალო სკოლას გადასცა 6 სად-
ურგლო დაზგა, სამუშაო იარაღებით, ერთი ცალი სახეინკლო
დაზგა 6 ადგილიანი გირაგით, სასწავლო ავტომანქანა და უზრუნ-
ველყო სკოლის სახელოსნოები საჭირო ნედლი მასალით. ა/კ რკინი-
გზის მე-2 სახელოსნო სასწავლებელმა (დირექტორი ი. გონგაძე)
და ა/კ რკინიგზის შენობათა და ნაგებობათა მე-4 დისტანციამ (გ.
ლეკავა) მე-5 საშუალო სკოლას მოუწყვეს სახელოსნოები, უზრუნ-
ველყვეს სათანადო ხელსაწყო იარაღებით. ქარხანა „დაზგამ" (დირექ-
ტორი, ა. ბოკერია) მე-9 საშუალო სკოლას მოუზიდა 40 ტონა
ქვანახშირი, 45 კბმ. შეშა, გადასცა 2 ცალი სახეინკლო დაზგა და
1 კბმ. ხე-ტყის მასალა, შამპანური ღვინოების ქარხანამ (დირექ-
ტორი ე. ჩაფიძე) მე-16 შვიდწლიან სკოლას გაუკეთა კაპიტალუ-
რი რემონტი და გადასცა ერთი დამხმარე შენობა. ავტოშემკეთებე-
ლმა ქარხანამ (დირექტორი ბ. კიკნაძე) მე-13 საშუალო სკოლას
მისცა 20 ცალი სახურავი თუნუქი, 1 ტ. ცემენტი, 30 კგ. საღებავი,
1 ცალი სადურგლო და 1 ცალი სახეინკლო დაზგა. მაუდაკმოლის
კომბინატმა (დირექტორი ნ. თუშიშვილი) მოაწყო სახელოსნო 22-ე
საშ. სკოლაში და შეაკეთა სასკოლო შენობა, რაზედაც დახარჯა
60000 მანეთი. ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა (დირექტორი ივ. ბიბი-
ლეიშვილი) მოაწყო სახელოსნო 29-ე საშუალო სკოლაში და დადგა
3 ჩაუხი. კავშირგაბმულობის სამინისტრომ 39-ე საშუალო სკოლის
რადიოფიცირებისათვის დახარჯა 7000 მანეთი და სოფლის მეურნეო-
ბის სამინისტროს სარემონტო კანტორამ (მმართველი ი. ჯიბლაშვი-
ლი) 53-ე საშუალო სკოლას გაუკეთა კაპიტალური რემონტი, რაზედაც
დახარჯა 53000 მანეთი. საქართველოს სამრეწველო-სამშენებლო სამი-
ნისტროს ტრესტმა (მმართველი რუხაძე) 55-ე საშუალო სკოლას მოუ-
პირკეთა შენობის ფასადი. საქართველოს ჰიდრო-ენერგომშენის ბი-
ნათმშენებლობის სამმართველომ (მმართველი კ. გოგიჩაშვილი. 62-ე
საშუალო სკოლას აუშენა ოროთახიანი ბინა ცოცხალი კუთხისათ-
ვის, ფიზკულტურის მოედანი შემოღობა მავთულის ბადით, გაარე-
მონტა და ვენტილატორი ჩადგა ცენტრალური გათბობის ქვაბებში.
დიმიტროვის სახელობის ქარხანამ (დირექტორი ი. ხვედელიანი)
23-ე საშუალო სკოლას გადასცა სახელოსნოებისათვის 25000 მანე-
თის ხელსაწყო იარაღები და 82-ე საშუალო სკოლას გაუკეთა
კაპიტალური რემონტი. საქართველოს სოფ. ელექტრომშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველომ (მმართველი ა. გოთუა) 30-ე საშუალო სკოლას მოუწყო ელექტროტექნიკის კაბინეტი, რაზედაც დახარჯა 25000 მანეთი. № 1 სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი გ. ხომერიკი) 31 ე საშუალო სკოლას მოუწყო ელექტროტექნიკის კაბინეტი, გაუყვანა სამფაზიანი დენი, სკოლას გადასცა 3 ცალი საკერავი მანქანა და შეუძინა სახელოსნოებისათვის 35000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები. თბილისის საავიაციო ტექნიკუმმა (დირექტორი მ. ჯიბუტი) 39-ე საშ. სკოლას უფასოდ გადასცა 5 ც. სადურგლო დაზგა და სხვა მოწყობილობა. ავტომატიზაციისა და ზუსტ ხელსაწყოთა ინსტიტუტმა (დირექტორი ა. ბუკია) 37-ე საშ. სკოლას გადასცა ელექტრო ტექნიკის კაბინეტისათვის 10000 მანეთის სრულიად ახალი, ზუსტი ხელსაწყოები, სკოლაში ჩამოაყალიბა რადიომოყვარულთა წრე, რომელზეც მიამაგრა 2 მეცნიერი მუშაკი. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი ს. შარაშენიძე) 32-ე საშ. სკოლას უსასყიდლოდ გადასცა 60000 მანეთის მოწყობილობანი სახელოსნოებისათვის. საგალანტერიო სამკერვალო კომბინატმა (დირექტორი ვ. კიფარენკო) 65-ე საშუალო სკოლას გაუკეთა ელექტროგაყვანილობის სრული მონტაჟი, საკლასო ოთახებს გაუკეთა ხის კარები, გამოცვლა წყალგაყვანილობის მილები და სკოლას გადასცა სახელოსნოსათვის ხელსაწყო-იარაღები. № 2 მექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი ს. თარხანოვი) 70-ე საშ. სკოლას მოუწყო კომბინირებული სახელოსნო და შეუძინა საჭირო ხელსაწყო-იარაღები. № 31 ქარხანამ (დირექტორი რ. ხვედელიძე) ამავე სკოლას გადასცა 3 სახარატო დაზგა 18 გირაგით. საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკამ“ (დირექტორი ა. ტოპეშაშვილი) 72-ე საშ. სკოლას გადასცა სახელოსნოსათვის დაზგები, გირაგები და საკერავი მანქანა. ცხინვალის კომბინატის წარმოებამ (დირექტორი კ. მოისწრაფიშვილი) 88-ე საშ. სკოლას მოუწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, დაუდგა სატელეფონო კომუტატორი და ყოველგვარ დახმარებას უწევს კაბინეტ-ლაბორატორიების შევსების საქმეში. ქ. თბილისის ზეთსახდელმა ქარხანამ (დირექტორი ს. ფლავანდიშვილი) 77-ე საშუალო სკოლას დაუდგა ლითონის ჩარხი, მექანიკური სალესი, ბურღი და სახელოსნო უზრუნველყო ხელსაწყო-იარაღებით. კრწანისის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. მიგრიაული) ააგო ახალი სასკოლო შენობა და გადასცა ივი კრწანისის რუსულ შვიდწლიან სკოლას. ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ლ. კობიაშვილი) კაპიტალური რემონტი ჩაუტარა ვარკეთილის

შვიდწლიანი სკოლის შენობას და ამავე სკოლას გადასცა ეროვნული ბიბლიოთეკა
ჰექტარი ვაზით გაშენებული ფართობი.

აღებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს აგრეთვე ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, ქალაქის სასადილოების ტრესტმა, № 4 საამშენებლო ტრესტმა, ლიტოპონის ქარხანამ, ქუთაისის რაიონის მექვენის საბჭოთა მეურნეობამ, ქუთაისის რაიონის გუმათჰესის მშენებლობამ, ცხაკაიას რაიონის უშაფათის ჩაისა და ხალიჩების ფაბრიკებმა, ხორშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობამ, ზესტაფონის რაიონის კლდეეთის ლენინის, ალავერდის ორჯონიკიძის, ქარელის რაიონის აბისის, ქუთაისის რაიონის ოფშვითის ვოროშილოვის, მესტიის რაიონის მულახის სტალინის, ფარის ყდანოვის, ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოს სტალინის, ქ. ცხაკაიას სტალინის და ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთმა ნაწილმა სათანადო თაოსნობა ვერ გამოიჩინა, რის გამო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აღებული ბევრი ვალდებულება შეუსრულებელი დარჩა.

აღებული ვალდებულების მიხედვით საშუალო სკოლებისათვის უნდა აეშენებია შენობები ყვარლის რაიონის გავაზის, ჭიკაანისა და ენისელის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობებს.

სკოლების სახელოსნოებისათვის უნდა აეშენებინათ ან მიეშენებინათ ოთახები სიღნაღის რაიონის დ. წნორის მტს-ს, ქ. გორის სამრეწველო კომბინატს, ბოდბისხევის, მცხეთის რაიონის ძალისის ლენინის სახელობის, წილკნის, ძველი ქანდის, საგურამოს, ნიჩბისის, ნატახტარის, ყვარლის რაიონის წიწკანაანსერის სტალინის სახელობის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის ჭავჭავაძის სახელობის და სოფელ ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს.

სკოლებისათვის უნდა მოეწყოთ სახელოსნოები ალაზნის სასისტემო სამმართველოს, მცხეთის ასანთის ფაბრიკას, ძეგვის კირის ქარხანას, ქ. გორის საყუთე-საკასრე ქარხანას, სატვირთე ავტოკანტორას, სამგზავრო ავტო-კანტორას და ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

მიმდინარე და კაპიტალური რემონტი უნდა ჩაეტარებინათ ყვარლის რაიონის ბრემის მაქსიმ გორკის, სანავარდოს კომინტერნის, მთისძირის ილ. ჭავჭავაძის, საბუის კიროვის, შილდის კუბიშევის, ახალსოფლის ლენინის, ახალსოფლის მარჯანიშვილის სახე-

ლობის კოლმეურნეობებს, ყვარლის ღვინის ქარხანათა სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ყოფილებასა და ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას.

სკოლის ეზოს შემოღობვის ვალდებულებები აიღეს მცხეთის ასანთის ფაბრიკამ, სასელექციო სადგურმა, ძეგვის კირის ქარხანამ და დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ. არცერთი ეს ვალდებულება შესრულებული არ არის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების /განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განათლების სამინისტროების კოლეგიების, ა) ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა საბჭოს სხდომებზე განიხილონ ახალი, 1958—1959 სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1958 წლის 28 თებერვლის დადგენილება და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახონ ქმედითი ღონისძიებანი;

ბ) ფართოდ გაშალონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება; მიაღწიონ საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ ახალი ვალდებულებების აღებას და მათ დროულად შესრულებას;

გ) იმ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც გასული სასწავლო წლისათვის მზადებისას აღებული ვალდებულებები არ შესრულდა, ყველა ღონისძიება გაატარონ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

2. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) მჭიდრო კავშირი დაამყარონ იმ წარმოება-დაწესებულებებთან, რომლებმაც ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით აიღეს ვალდებულებანი და მიაღწიონ ამ ვალდებულებათა განუხრელად შესრულებას.

1957/58 სასწავლო წლისათვის მზადებისას სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში წარჩინებული მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით; აჭარის ასსრ განათლების მინისტრი თებიძე დავით ბაგრატის ძე, ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ჯინჭარაძე რევაზ ხასანის ძე, ბათუმის რაიონის განათ-

ლების განყოფილების გამგე მახარაძე დავით ნურის ძე, ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე გაბელაია ვლადიმერ ... გიორგის ძე, შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ბერიძე ლევან იუხუსის ძე, ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ბერიძე რუბენ მემედის ძე, ქობულეთის რაიონის ალამბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქათამიძე შალვა ხასანის ძე, სოფ. ხალას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფალავანდიშვილი ალექსანდრე ხასანის ძე, ბათუმის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეჟანიძე მიხეილ ყემბერის ძე, კაპრეშუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბაშიძე მამია ხასანის ძე, ხულოს რაიონის ფაჩხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მახარაძე ალმედ ისას ძე, სკვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯაიანი ავთანდილ იდრისის ძე, შუახევის რაიონის სოფ. დარჩიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცეცხლაძე მიხეილ ფერათის ძე, ქედის რაიონის სოფ. ხარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბერიძე ფელულ მამედის ძე, მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ხავთასი ხალამბრე ივანეს ძე, შორმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორაგველიძე მიხეილ ფილიპეს ძე, ანასეულის ჩაის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი ქანცხავა დავით რომანოზის ძე, ურეკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გოგუაძე შოთა ალექსანდრეს ძე, მელექედურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯიჯეიშვილი ამირან გიორგის ძე, გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბელიქანიძე პროკოფი გიორგის ძე, ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სარიშვილი შალვა ვლადიმერის ძე, ჯუმათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტაკიძე მიხეილ ქრისტეფორეს ძე, ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის დირექტორი სურგულაძე თამარ ერმილეს ასული, ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარახენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თოდუა ივანე დროროთეს ძე, სოფ. რუხის კოლმეურნეობა „ახალი აბასთუმანის“ თავმჯდომარე ხარებავა შალვა ალექსანდრეს ძე, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეროზია კალისტრატე ნესტორის ძე, გორის რაიონის ქვ. ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლტაშვილი დავით ალექსის ძე, კარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯაბაშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, მარნეულის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გუსეინოვ გუსეინ. კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი პაპიაშვილი ვახტანგ იოსების ძე, ქარელის რაიონის აბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარგველაშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე, ქ. თბილისის მაუდ კომოლის ქარხნის დირექტორი თუშიშვილი ნიკოლოზ იაგორის ძე, № 1 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ხომერიკი გერმანე ფილიპეს ძე, რუსთავის

მეტალურგიული ქარხნის დირექტორი შარაძენიძე სოლომონ ივ.
ეროვნული ბიბლიოთეკა
თანდილსძე, კრწანისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მიგ. [illegible]
ული ალექსანდრე ისაკის ძე, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის
დირექტორი კობიაშვილი ლევან გიორგის ძე, თელავის რაიონის
სოფ. სანიორეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარგალიტოვი
ალექსანდრე არშაკის ძე.

3. 1957—58 სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით თელაველთა მოწოდების საპასუხოდ სკოლების მატერიალურ-ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და საშეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით: გორის რაიონის სკრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მერაბაშვილი ბესარიონ თევდორეს ძე, ზედულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დოთიაშვილი დიმიტრი ილიას ძე, შავშვების კოლმეურნეობის თავმჯდომარე თომაშვილი ესტატე გიორგის ძე, ლანჩხუთის რაიონის მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გოგუაძე ვლადიმერ ხალამპრეს ძე, ლესის კოლმეურნეობის დავმჯდომარე ლომაძე არტემ ესეს ძე, სუფსის ნავთსაქაჩის წარმოების დირექტორი დოლიძე ტიტე კაპიტონის ძე, ნიგვზიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იმნაძე ვასილ დიმიტრის ძე, წყალწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიქაბერიძე დავით ვარლამის ძე, ჩოხატაურის რაიონის ძირგანახლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყაჭეიშვილი ბორის ერმალოს ძე, კაჭრეთის რაიონის კაკაბეთის ვერხვიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოზმაზაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, წითელი ოქტომბრის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფხალაძე ალექსანდრე ისიდორეს ძე, კასპის რაიონის ნიგოზას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქოქაშვილი სიმონ გიორგისძე, ზემოხანდაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გორგაძე ვლადიმერ იოსების ძე, მეტეხის აგურქარხნის დირექტორი ცხოვრებაშვილი გრიგოლ ვედეონის ძე, ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ქინქლაძე დიმიდე ვასილის ძე, ფცის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოსაძე ვახტანგ ანდროს ძე, ზემოხვედურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვაური გიორგი ილიას ძე, თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პაატაშვილი სოლომონ ზაქარიას ძე, ფშავლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კერვალიშვილი პარმენ გიორგის ძე, ქვემოხანდაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კირვალიძე ანტონ ქიტესის ძე, ყარაჯალას კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუსაილოვი ალადინ მუსაელის ძე, მარნეულის რაიონის ნიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახმედოვი გაგა, კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ურუტოლეოდისი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარემონტო კანტორის მმართველი ჯიბღაშვილი იოსებ ლუკას ძე, დიმიტროვის სახ. ქარხნის დირექტორი ხვედელიანი იაკობ რომანის ძე, საქართველოს სოფ. ელექტრომშენის უფროსი გოთუა ალექსანდრე პართენის ძე, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი მაცაბერიძე გაბრიელ ევგენის ძე, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორი კიზივაძე ნიკოლოზ სევერიანის ძე, ა/კ რკინიგზის № 2 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი გონგაძე ივანე დავითის ძე, შამპანური ღვინის ქარხნის დირექტორი ჩიფიძე ემილ ემელიანის ძე, საგალანტერიო-სამკერვალო კომბინატის დირექტორი კიფარენკო ვერა ნიკოლოზის ასული, საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკას“ დირექტორი ტოპეშაშვილი ალექსანდრე ილიას ძე, ქ. თბილისის ზეთსახდელი ქარხნის დირექტორი ფალავანდიშვილი სევერიან ვლადიმერის ძე, ცხიმკომბინატის დირექტორი მოისწრაფიშვილი კარლო იოსების ძე, საქართველოს ჰიდროენერგომშენის ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსი გოგიჩაიშვილი კარლო ვლადიმერის ძე, საავიაციო ტექნიკუმის დირექტორი ჯიბუტი მიხეილ.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში.

5. ეთხოვოს ზემდგომ ორგანოებს დაავალონ გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციებს მოათავსონ ამ ბრძანების ანოტაცია თავიანთ ფურცლებზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 282

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 26 მარტი

ორჯონიკიძის და ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებებსა და სკოლებში პედაგოგიური კადრების აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ორჯონიკიძისა და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებებში და სკოლებში მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა კადრებთან მუშაობა, სუსტად არის დაყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ორჯონიკიძის რაიონის სკოლებში ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობს, განათლების განყოფილება და სკოლები არ ღებულობენ ზომებს მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, არ ატარებენ ღონისძიებებს დამწყები მასწავლებლის დასახმარებლად.

ორჯონიკიძის რაიონში შეუწყნარებელ მდგომარეობაშია მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა აღრიცხვის საქმე. განათლების განყოფილებაში მასწავლებელთა პირადი საქმეებისათვის თუმცა გახსნილია ყდები, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა მოუწესრიგებელია, აკლიათ ბრძანებების ამონაწერები, დახასიათებები, ავტობიოგრაფიები და სხვ.

რაიონის განათლების განყოფილების მუშაკები არ იცნობენ „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის შესახებ“ განათლების სამინისტროს მიერ 1954 წელში დაშვებულ ინსტრუქციას.

არც ერთ პირად საქმეში არ მოიპოვება ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტთა აღრიცხვას განათლების განყოფილება სრულიად არ აწარმოებს.

ასევე არ ემჩნევა მზრუნველი ხელი მასწავლებელთა პირად საქმეებს სკოლებში. დაბა ორჯონიკიძის I საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. გ. ჭიპაშვილი), მასწავლებელთა პირადი საქმეებისათვის თუმცა გახსნილია ყდები, მაგრამ ბევრ მათგანში თავმოყრილია მოძველებული ან უმნიშვნელო ქაღალდები, ხოლო ის დოკუმენტები კი რაც მასწავლებლისათვის დამახასიათებელია (ავტობიოგრაფია, ბრძანებების ამონაწერები, ფოტოსურათი, ანკეტა და სხვ) არ არის. ამ სკოლაში მომუშავე 28 მასწავლებლიდან პირადი საქმე მხოლოდ 19 მასწავლებელზეა გახსნილი.

ასევე უყურადღებოდ არის მიტოვებული მასწავლებელთა აღრიცხვის საქმე მოლითის საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ნ. გელაშვილი) და სხვ.

განათლების განყოფილებაში არადამაკმაყოფილებლად არის წარმოებული ბრძანების წიგნი. დაწყებით სკოლებში მასწავლებლად, ან საერთოდ სკოლებში სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებები ბევრ შემთხვევაში უსწოროდ, ზოგჯერ კი კანონსაწინააღმდეგოდ არის გაფორმებული. ასე მაგალითად: 1957 წ. 1 სექტემბრის № 20 ბრძანებაში ნათქვამია: „გადაყვანილ იქნას ჭყოძე ნინა ამბაკოს ასული—მოლითის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ჩრდილის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, მისი დასჯის მიზნით—მოლითის საშუალო სკოლაში ჩადენილი შეუფერებელი ქცევათა გამო—პარადი განცხადებით (შეთანხმების საფუძველზე)“. ან კიდევ: 1957 წ. დეკემბრის № 16 ბრძანებით იაშვილი ვარა ნიკოლოზის ასული ინიშნება მარელისის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მნედ და დამლაგებლად. ორივე ეს ბრძანება ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას და ამასთან უწიგნურადაც არის დაწერილი.

სრულიად შეუწყნარებლად არის წარმოებული შრომის წიგნაკები. „შრომის წიგნაკების წარმოების და შენახვის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განათლების სამინისტროს 1956 წ. 11 აპრილის № 323 ბრძანება ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების მიერ შესრულებულია მხოლოდ ფორმალურად, განათლების განყოფილებას 7-წლიანი და საშუალო სკოლებისათვის გადაუცია სრულიად მოუწესრიგებელი წიგნაკები, ინსტრუქტაჟისა და დახმარების გარეშე ამის გამო სკოლების დირექტორები საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ შრომის წიგნაკების მოწესრიგებას და მიუხედავად 1956 წ. 11 აპრილის

№ 323 ბრძანების მე-4 მუხლის მოთხოვნისა იმის შესახებ, რომ პირადად დირექტორებმა აწარმოონ შრომის წიგნაკები, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე საქმისმწარმოებლებს გადაბარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ორჯონიკიძის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ. ჭიპაშვილს არც ახსოვდა, რომ სკოლის თანამშრომელთა შრომის წიგნაკები განათლების განყოფილებიდან ჰქონდა მიღებული, არც იცოდა სად ინახება ეს წიგნაკები.

1956 წლის აპრილიდან დღემდე განათლების განყოფილებას არ შეუმოწმებია სკოლებში შრომის წიგნაკების წარმოების საქმე და არ გაუტარებია ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პედაგოგიური კადრების აღრიცხვის საქმე ასევე მოუწესრიგებელია ლენტეხის რაიონში. რაიონის სკოლებში მომუშავე ბევრ მასწავლებელზე პირადი საქმე შედგენილი არ არის, ხოლო შედგენილ პირად საქმეებში ბევრ შემთხვევაში არ მოიპოვება საჭირო დოკუმენტები. ლენტეხის საშუალო სკოლაში არცერთ მუშაკზე პირადი საქმე არ არის შედგენილი. არის შემთხვევები, რომ მასწავლებლები, სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები თვეების მანძილზე მუშაობენ სკოლებში, ხოლო განათლების სამინისტროს ბრძანება მათი დანიშვნის შესახებ არ არსებობს. არ არის ჩატარებული მასწავლებელთა სამედიცინო შემოწმება, არის შემთხვევები, როდესაც ტუბერკულოზით დაავადებული მასწავლებლები ასწავლიან სკოლაში.

კადრების აღრიცხვის და კადრებთან მუშაობის შეუფასებლობით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მუსელიანი) რაიონის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა სამსახურებრივ მდგომარეობაში 1957 წ. აგვისტოში მომხდარი ცვლილებების შესახებ ბრძანებების გასაფორმებლად მასალები განათლების სამინისტროში მხოლოდ 1958 წ. 17 თებერვალს წარმოადგინა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ ორჯონიკიძის და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს 1958 წ. 30 აპრილამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ განყოფილებებში მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები.

ამავე ვადაში უზრუნველჰყონ პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების მოწესრიგება ყველა შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, რისთვისაც დაუყოვნებლივ მისცენ სკოლებს სახელმძღვანელო მასალები (ინსტრუქციები და სხვ.), შეისწავლონ რაიონის სკოლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა აღრიცხვის მდგომარეობა და გაატარონ საჭიროებისა-
ღონისძიებანი ამ მნიშვნელოვანი საქმის მოსაწესრიგებლად.

2. მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა აღრიცხვის საქ-
მეში უწესრიგობის, „შრომის წიგნაკების წარმოების და შენახვის
საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განათლების სამი-
ნისტროს 1956 წ. 11 აპრილის № 323 ბრძანების შესასრულებლად
საჭირო ზომების გაუტარებლობისათვის ორჯონიკიძის რაიონის
განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შ. ჩხიკვაძეს მიეთითოს.

3. სკოლაში მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და შრომის
წიგნაკების წარმოებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა-
თვის დ. ორჯონიკიძის I საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. გ.
ჭიკაშვილს და მოლითის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ნ.
გელაშვილს მიეთითოთ.

4. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის
ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის
და ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებებს სა-
ხელმძღვანელოდ.

5. ა/წ. II კვარტალის ბოლოს შემოწმდეს ორჯონიკიძისა და
ლენტეხის და რიგ სხვა რაიონში ამ ბრძანების შესრულება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958
წლის 21 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 296

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 1 აპრილი

სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ სპეცსკოლა - ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობასა და სამეურნეო - საფინანსო საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებანი.

ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე. ბავშვებში არაა გამომუშავებული კულტურული ქცევისა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის ჩვევები. შრომის სწავლების საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ქ. თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღმზრდელთა მიერ სამუშაო გეგმების წიგნიერად შედგენისა და მისი განუხრელად შესრულების საქმეს. ამ სკოლა-ინტერნატში პიონერთა შორის მუშაობა არაა დაყენებული ჯეროვან სიმაღლეზე.

ქ. ქუთაისისა და სიღნაღის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატებში რეგულარულად არ ტარდება ღრმა სამედიცინო შემოწმება. ეს ინტერნატები არ არიან უზრუნველყოფილი თვალსაჩინო-დიდაქტიკურ ხელსაწყოებითა და მაგარი და რბილი ინვენტარით.

სერიოზული დარღვევებით ხასიათდება სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაც. ყველა სპეცსკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს სხვადასხვა მუხლებით თანხების გადახარჯვასა და აუთვისებლობას.

ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1957 წლის 6 დეკემბრის № 167 ბრძანება აღსაზრდელთა კვების ნორმების შესახებ. ადგილი აქვს დაწესებული ნორმის ზევით პროდუქტების გაცემის შემთხვევებს, ასე მაგალითად: 1957 წლის 17 ივლისს თითოეულ ბავშვზე გაცემულია 90 გრ. კარაქი, ნაცვლად ნორმით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისწინებული 40 გრ., შაქარი 100 გრ. ნაცვლად 70 გრ. ანალოგიური შემთხვევებია სხვა დღეებშიაც.

არ არის მოწესრიგებული საბუხჰალტრო აღრიცხვიანობა (ბუხ. ნ. ბაგრატიონი). შემოსავალ-გასავლის ფაქტურები არ არის დანომრილი. 1957 წლის ზაფხულზე აგარაკზე ყოფნის დროს ქვაბის მოკალვისა და ელგაყვანილობის მოწესრიგებაზე დახარჯულია 1150 მანეთი. ანგარიში შემოწმებული არ არის. აგარაკ ახალდაბაში შრომის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულია 1560 მანეთი; წარმოდგენილი ანგარიში არ არის შემოწმებული. ფეხსაცმელებისა და შალეულის—ტანსაცმელის აღრიცხვა ზოგიერთ შემთხვევაში არ სწარმოებს არტიკულების მიხედვით.

ქ. თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატში ზოგიერთ ანგარიშს არ ახლავს სამეურნეო კომისიის აქტი და ანგარიშების ნაწილი შემოწმებული არ არის სათანადო ორგანოების მიერ.

ქ. სიღნაღის ყრუ-მუნჯთა სკოლა ინტერნატში სათანადო ყურადღება არ ექცევა საბუხჰალტრო დოკუმენტების გაფორმებას. ყოველთვის არ იწერება საწყობის შემოსავალ-გასავლის ფაქტურა. პროდუქტების გასავლის ფაქტურები რიგ შემთხვევაში არ არის ხელმოწერილი მიმღების მიერ. პროდუქტების ხარჯვის უწყისებს ხელს არ აწერს დირექტორი და ბუხჰალტერი,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სპეცსკოლა-ინტერნატის დირექტორებმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველჰყონ ამ ბრძანებისა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

ბ) ამიერიდან აღკვეთონ აღსაზრდელთა კვების ნორმების დარღვევა;

გ. მტკიცე კონტროლი დააწესონ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე. ამ მიზნით სისტემატურად შეამოწმონ საბუხჰალტრო დოკუმენტაციის სწორად გაფორმება და რეგულარულად აწარმოონ პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის საწყობების აღწერა.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის უსინათლო-ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერი ნ. ბაგრატიონი განთავისუფლებულია სამუშაოდან.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 297

საქართველოს სსრ განათლების საშინისტროსადმი

1958 წელი 1 აპრილი

საბავშო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ საბავშო სახლსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ჯეროვანი ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა შრომითი აღზრდისა და სწავლების საქმეს.

მახარაძის, განთიადის, ვაშლოვანის, ეწრის და მახინჯაურის საბავშო სახლებში კარგადაა დაყენებული სასოფლო სამეურნეო შრომის სწავლების საქმე. მოწყობილია საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები, აღსაზრდელები მეცადინეობენ სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლების პროგრამის მიხედვით. კარგადაა დამუშავებული ნაკვეთები, სანამუშოდაა მოვლილი ფრინველები და ცხოველები, სურამის საბავშო სახლის აღსაზრდელები კარგად არიან დაუფლებული სადურგლო საქმეს. ჭრა-კერვის სასწავლო სახელოსნოები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ საბავშო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების უმრავლესობაში. უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები დაუფლებული არიან ჯაგრისების კეთებისა და ლოგინების კერვის საქმეს, ხოლო ქ. თბილისის ყრუმუნჯთა სკოლაში მოსწავლეთა უმრავლესობას შეუძლია ფეხსაცმელტანსაცმელის დამოუკიდებლად შეკერვა.

მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა, საბავშო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შრომითი აღზრდასა და სწავლებას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. 8--12 წლის ასაკის აღსაზრდელთათვის არაა მოწყობილი პოლიტექნიკური შრომის ოთახები. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომის სწავლება პროგრამის გარეშე მიმდინარეობს. ზოგადტექნიკური

შრომის სახელოსნოები არ არიან უზრუნველყოფილი იარაღ-მოწყობილობითა და მასალებით. ქ. თბილისის ვაკის, ლენინგორის, ონის, ახალქალაქის საბავშვო სახლებისა, ქ. თბილისის № 1 და ზედგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა შრომითი აღზრდასა და სწავლებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება და ზშირად ეს საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოძველებულია შრომითი სწავლების პროგრამები. ეს პროგრამები გადატვირთულია მასალით, რის გამოც შრომის სწავლების მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებს უძნელდებათ მისი გავლა.

შრომის სწავლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საბავშვო სახლის საზოგადოებრივი დათვალიერების პროცესში მთავარი ყურადღება მიაქცინონ აღსაზრდელთა შრომითი აღზრდისა და სწავლების საქმეს და უზრუნველჰყონ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ზოგად-ტექნიკური შრომითი სწავლებისათვის შესაფერი მატერიალური ბაზის შექმნა და განმტკიცება;

ბ) სოფლად მდებარე საბავშვო სახლებს გამოუყონ საჭირო რაოდენობით მიწის ნაკვეთი და მიიღონ ზომები სანიმუშო დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად;

გ) უზრუნველყონ საბავშვო სახლებში ცხოველებისა და ფრინველების მოშენებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

2. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ს. არველაძე) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობანი და ზოგად-ტექნიკური შრომის სახელოსნოები იარაღ-მოწყობილობითა და საჭირო მასალებით.

3. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე)

ა) მ/წლის ბოლომდე გადასინჯოს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ზოგადტექნიკური შრომის პროგრამები;

ბ) კადრების განყოფილებასთან ერთად გადაამზადოს შრომის მასწავლებლები და ინსტრუქტორები ერთთვიან კურსებზე;

გ) განყოფილების ერთ-ერთი ინსპექტორი გააპროვნოს აღსაზრდელთა შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხებზე;

დ) შეიმუშაოს და წარუდგინოს მომარაგებისა და დამხმარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებათა განყოფილებას ზოგად-ტექნიკური შრომის სახელმ-
ნოებისათვის საჭირო ტიპობრივი იარაღ-მოწყობილობის სია;

ე) მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებასთან ერთად გაანაწილოს თესლეული და სასუქი სბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობათა შორის.

4. სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხებს. მიაღწიონ, რომ სბავშვო სახლიდან ან სპეციალური სკოლა-ინტერნატებიდან აღსაზრდელთა გამოშვების დროს თითოეულ მათგანს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მიენიჭოს ერთ-ერთ სპეციალობაში სათანადო თანრიგი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 303

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 1 აპრილი

ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მარნეულის რაიონში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სოფლის ახალგაზრდობის თერთმეტი სკოლისა გაიხსნა მხოლოდ ოთხი სკოლა.

საჭირო ღონისძიებანი არ ტარდება სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად; ბოლნისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი კ. მუსერიძე) განითესა 35, კაზრეთის 7-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. გაგუა) 17, მარნეულის რაიონის სადახლოს 7-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ი. მამედოვი) 20, კიზილაჯილოს 7-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. უსეინოლი) 13, კაჩაგანის 7-წლიან სკოლიდან (დირექტორი ს. სულეიმანოვი) 15 მოსწავლე.

ხშირია მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები.

კაზრეთის 7 წლიან სკოლაში მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მეცადინეობა არ ჩატარებულა—7-ჯერ: ბოლნისის საშუალო სკოლის XI კლასში მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლ, 11, 21 ნოემბერს, 20 და 21 თებერვალს მეცადინეობა არ ჩატარებულა.

ზემოხსენებული სკოლების ხელმძღვანელები შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვისადმი. ბოლნისისა (დირექტორი ვ. მუსერიძე) და ბალიჭის (დირექტორი

შ. კვაჭაძე) სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ცუდადაა შედგენილი სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და მასწავლებელთა გაკვეთილის გეგმები.

მარნეულის რაიონის კიზილაჯალოს და კაჩაგანის სოფლის ახალგაზრდობის 7-წლიან სკოლებს სრულიად არ აღმოაჩნდათ სამუშაო გეგმები.

საჭირო ყურადღება არ ექცევა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას, არ ტარდება ღია გაკვეთილები, მივიწყებულია მეთოდური მუშაობა.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. ბოლნისის საშუალო სკოლაში კეოგრაფიას ასწავლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი გ. მუსერიძე. ამავე სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობს კ. ლასკევიჩი, რომელიც სწავლობს თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის II კურსზე. ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის მასწავლებელი მამია კალანდაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის ზოოვეტინსტიტუტი.

სკოლების დირექტორები არ ახორციელებენ საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს მასწავლებელთა მუშაობაზე. ბოლნისის რაიონის ბალიჭის (შ. კვაჭაძე), მარნეულის რაიონის კიზილაჯალოს (ა. უსეინოღლი) სადახლოს (მამედოვ ისრაფილ) და კაჩაგანის (სულეიმანოვ სოსპატ) სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს არც ერთი გაკვეთილი არა აქვთ მოსმენილი. ბოლნისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს მ. უნგიაძეს მოუსმენია 20 გაკვეთილი; მაგრამ არც ერთის ანალიზი არ აღმოაჩნდა.

ბოლნისის რაიონის ბალიჭის, კაზრეთისა და ბოლნისის სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოუგვარებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. ბოლნისის საშუალო სკოლის XI კლასის არც ერთი მოსწავლის ჩარიცხვა სათანადოდ არაა გაფორმებული. მარნეულის რაიონის კაჩაგანის, სადახლოსა და კიზილაჯალოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს არ გააჩნიათ მოსწავლეთა პირადი საქმეები—მარნეულის სოფლის ახალგაზრდობის არც ერთ 7-წლიან სკოლას არა აქვს საკუთარი შტამპი და ბეჭედი; არ გააჩნიათ 7-წლიანი სკოლის მოწმობის ბლანკების გაცემის აღრიცხვის წიგნები.

სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიური საბჭოების და კლასის ხელმძღვანელების მუშაობა. მოუვლელია საკლასო ჟურნალები.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის

სწავლება ბოლნისის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი შ. ბაკურაძე). ამ სკოლის X კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა საკონტროლო წერისათვის მიცემული ამოცანა.

არდამაკმაყოფილებლადაა დაყენებული გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სწავლება ბოლნისის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. მუსერიძე ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის.

ბალიჭის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი გაბიძაშვილი არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ადგენს გაკვეთილის გეგმებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას.

ბოლნისის და მარნეულის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებული სეროზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია, იმითაც, რომ განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. გ. ერაძე და შ. მამედოვი) საკმაო ხელმძღვანელობას არ ახორციელებენ ამ ტიპის სკოლების სასწავლო-აღზრდელობითს მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1 ბოლნისის და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ერაძემ და შ. მამედოვმა);

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი, გულდასმით შეისწავლონ მათი მუშაობა და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ბ) დაუზუსტონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ჩასარიცხ მოსწავლეთა კონტინგენტი, და უზრუნველჰყონ 1958/59 სასწავლო წლისათვის სათანადო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმა;

გ) დაუყოვნებლივ გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური კადრების შემადგენლობა და გაატარონ ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად, აღკვეთონ მასწავლებლებზე არასპეციალობის მიხედვით საათების დღემდე არსებული მავნე პრაქტიკა.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე; აამაღლონ კლასის ხელმძღვანელთა როლი და მიაღწიონ სასწავლო აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

ბ) ბოლო მოუღონ სასკოლო გეგმიანობისადმი უპასუხისმგებელო დამოკიდებულებას დაუყოვნებლივ გადახედონ სკოლის წლიურ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურ გეგმებს და სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიტანონ მათში საჭირო ცვლილებანი;

ბ) სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით საქმიანი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებთან;

დ) დაუყოვნებლივ შექმნან საგნობრივი და ციკლობრივი მეთოდ-კომისიები და უზრუნველყონ მათი წარმატებით მუშაობა.

ე) სრულ წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტაცია.

3. მასწავლებლებმა: გულდასმით მოამზადონ ყოველი გაკვეთილი, მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება, ყურადღებით გაასწორონ წერითი ნამუშევრები და უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევათა მიღება.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის ბოლნისის რაიონის ბოლნისის, ბალიჭის, და მარნეულის რაიონის კაზილაჯილოს, სადახლოსა და კაჩაგანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს ვ. მუსერიძეს, შ. კვაჭაძეს, ასრათ კანჯაი უსეინოღლის, ისრაფილ მამედოვს და სულეიმანოვს სოჰპატ დურსუნის ძეს მიეთითოთ.

5. ბოლნისის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელს გ. მუსერიძეს, როგორც არასპეციალისტს ჩამოერთვას გეოგრაფიის გაკვეთილები.

6. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ბოლნისის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს შ. ბაკურაძეს მიეთითოს.

7. ეთხოვოს ბოლნისისა და მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 305

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 2 აპრილი

ქ. გორისა და კასპის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. გორისა და კასპის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოვებული, კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ე. ჩიკოიძე, მ. აკოფოვი (ქ. გორის I საშ. სკ.), ე. გოზალოვი, ე. ბაკიძე (კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკ.); ფიზიკის მასწავლებლები: რ. ნაოჭაშვილი, თ. დალაქიშვილი (ქ. გორის I საშ. სკ.), რ. ჯაფიაშვილი (ქ. გორის II საშ. სკ.). გეოგრაფიის მასწავლებელი შ. ბახტაძე (სასირეთის საშ. სკ.); ბუნებისმეტყველების მასწავლებლები: ქ. ზაუტაშვილი (ქ. გორის I საშ. სკოლა), ცუცქირიძე (ქ. გორის II საშ. სკოლა).

ქ. გორის I საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ო. დალაქიშვილს სანიმუშოდ აქვს დაყენებული სკოლასთან არსებული ტექნიკური წრის მუშაობა. მოსწავლეების მიერ დამზადებულია ასიქრონული ძრავის, მორზეს ტელეგრაფის, დინამომანქანის მოქმედი მოდელები, ერთნათურიანი რადიომიმღების ღია სქემა და სხვ. კარგადაა მოწყობილი საზეინკლო სახელოსნოები ქ. გორის მესამე (დირექტორი ნ. ჯანდიერი), კასპის ქართულ (დირექტორი ლ. გურგენიძე) და რუსულ (დირექტორი ე. ელისაბედაშვილი) საშუალო სკოლებში.

კასპის ქართული საშუალო სკოლის საზეინკლო სახელოსნოში (მასწავლებლები მ. ჯანეზაშვილი და შ. სირგანაშვილი) მოსწავლეებმა დაამზადეს ფლიუგენი, წვიმამზომი, თოვლმზომი და სხვ. რაც გამოყენებული იქნა სკოლაში გეოგრაფიის მოედნის მოსაწყობად.

სანიმუშოდ არის მოწყობილი მანქანათმცოდნეობის კაბინეტი ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. სარიშვილი). სკოლას აქვს შიდაწვის ძრავის მოდელი ელექტრული განათებით, რითაც მოსწავლეებს თვალსაჩინოდ ასწავლიან ცილინდრში მიმდინარე პროცესებს. მოწყობილია სიჩქარეთა კოლოფის და სხვათა სტენდები. დამზადებულია მანქანის აგრეგატის ჭრილი

კარგადაა დაყენებული საწარმოო სწავლება ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი გ. მაჩაბელი) VIII—IX კლასებში. აღნიშნული კლასების მოსწავლეები სწავლობენ საფეიქრო საქმეს გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში (მასწავლებელი პ. ანანოვი). თეორიული მეცადინეობისას ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინოება, მოსწავლეებს საფუძვლიანად შეუთვისებიათ პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა. ისინი უკვე პრაქტიკულად ასრულებენ რთვისა და ქსოვის სამუშაოებს.

მიუხედავად ამისა, კასპის რაიონისა და ქ. გორის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

მოუთმენლად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში სასირეთის საშუალო სკოლის X და XI კლასების (მასწავლებელი პ. პაპინაშვილი) მოსწავლეებმა. მათ ვერ განსაზღვრეს გ. ტაბიძის შემოქმედების ორი პერიოდი, არ იციან სამოქალაქო ომის ეპოპეა, ხალხთა დიადი მეგობრობისა და მშვიდობის თემატიკა გ. ტაბიძის შემოქმედებაში, ვერაფერი თქვეს ი. გრიშაშვილის ადრინდელი, სოციალისტური მშენებლობისა და სამამულო ომის პერიოდების შემოქმედების შესახებ. მოსწავლეებმა გ. ტაბიძისა და ი. გრიშაშვილის არცერთი ლექსი არ იციან ზეპირად. კიდევ უფრო დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ლამისყანის საშუალო სკოლის X და XI კლასების (მასწავლებელი ნ. კიტრიაშვილი) მოსწავლეებმა.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში იგოითისა (მასწ. ა. კახურაშვილი), და ქ. გორის მე-4 (მასწ. ე. მთვარაძე) საშუალო სკოლების X და XI კლასების მოსწავლეებმა.

ძალზე დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება ლამისყანისა და სასირეთის საშუალო სკოლებში, სადაც მოსწავლეები გავლილი მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. ლამისყანის საშუალო სკოლის X და XI კლასების (მასწავლებელი ს. ილურიძე) მოსწავლეებმა არ იციან ელექტრო დენის კანონები, მათ ვერ შესძლეს დაეწერათ გამტარის წინააღმდეგობის გამოსაანგარიშებელი ფორმუ-

ლა, ურთიერთისაგან ვერ განასხვავეს დენის ძალისა და სიმძლავრის ერთეულები, ვერ ჩამოყალიბეს განათებულობისა და გარდატეხის კანონები. აღნიშნული კანონების ფორმულით გამოსახვისას მოსწავლეებმა გამომაჟღავნეს ტრიგონომეტრიული ფუნქციების უცოდინარობა. სასირეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი მ. დემეტრაშვილი ვერ ფლობს საგანს და სასკოლო ექსპერიმენტს, მან ვერ შესძლო პასკალისა და არქიმედის კანონების ჩამოყალიბება, სადემონსტრაციო დინამომეტრის დანაყოფის გაანგარიშება. და გამოყენება. მასწავლებლისათვის უცხოა ღია მანომეტრი და პასკალის ხელსაწყო. VII კლასის მოსწავლეები ამჟღავნებენ ისეთი ელემენტარული საკითხების უცოდინარობას, როგორიცაა: ფართობის, მოკულობისა და წონის გაზომვა, ვერ ხსნიან უმარტივეს სახის ამოცანებს ხვედრითი წონის გამოანგარიშებაზე და სხვ. ახალქალაქის. ქვემო ჭალის, ქ. გორის მე-3 და მე-4 საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტებს არა აქვთ ხელსაწყო-იარაღების საკმაო კომპლექტები, ნაკლები ყურადღება ექცევა თვითნაკეთ ხელსაწყო-იარაღების გამოყენებას, იშვიათად და არაორგანიზებულად ტარდება საწარმოო ექსკურსიები.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება. სასირეთის საშუალო სკოლაში ერთ პატარა კარადაშია მოთავსებული რეაქტივები და ქიმიური ჭურჭელი, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. ახალქალაქის საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი არ აოის უზრუნველყოფილი მარილის, გოგირდის და აზოტის მჟავებით, რის გამო სადემონსტრაციო ცდების დიდი ნაწილი ჩაუტარებელია. ამ სკოლის VII კლასის ქიმიის მასწავლებელი ა. აზარაშვილი (სპეციალობით გეოგრაფი) ვერ ფლობს საგანს. ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს მარტივ ნივთიერებას და ქიმიურ ელემენტს, სუსტად იცის ნივთიერების წონის ქიმიური საზომი ერთეულები. ვერ ერკვევა მარტივი ამოცანების ამოხსნის ხერხებში.

ლამისყანის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ქიმია არ ისწავლება (მასწავლებელ კვაჭაძის ავადყოფობის გამო). შემოწმების დღეს IX კლასში გაკვეთილი ჩაატარა განათლების განყოფილების მიერ გაგზავნილმა შემცვლელმა მასწავლებელმა ს. ლეკიშვილმა (სპეციალობით აგრონომი), რომელმაც საგნის სრული უცოდინარობა გამომაჟღავნა. ამ სკოლის ქიმიის კაბინეტი ქაოსურ მდგომარეობაშია. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი თ. მანაშეროვი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, სუსტად ფლობს ქიმიის ექსპერიმენტს, ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის არ ატარებს სადემონსტრაციო ცდებს, მოსწავლეებს არ აძლევს საშინაო დავალებას ამოცანების ამოხსნაზე.

სასირეთის საშუალო სკოლას (დირექტორი და ბუნებისმეტყველების მასწ. თ. მჟავანაძე) მეტად მცირე რაოდენობით აქვს ბიოლოგიის თვალსაჩინოების მასალები, განსაკუთრებით ბოტანიკასა და ბიოლოგიაში. ამ სკოლაში კლასკაბინეტიც კი არაა მოწყობილი. V—VI კლასებში (მასწ. თ. დემეტრაშვილი) საგნის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. ასევე ღარიბია ლამისყანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტი. ტაბულები დაზიანებულია (არ არის გაკრული მარლაზე და არა აქვს საკიდები). ქიმიის კლასკაბინეტის ერთ-ერთ კარადაში ქიმიის რეაქტივებთან ერთად აღმოჩნდა ხერხემლიანი ცხოველების შინაგანი ორგანოების ზოგიერთი მოდელი, რომელთა არსებობის შესახებ სკოლაში არაფერი იცოდნენ. ახალქალაქის საშუალო სკოლაში არაა მოწყობილი ბუნებისმეტყველების კაბინეტი.

კასპის რაიონის შესწავლილ სკოლებში ბიოლოგიის სწავლების პრაქტიკასთან ორგანულად დაკავშირების მიზნით სათანადოდ არ არის გამოყენებული სასწავლო საცდელი ნაკვეთები. ნორჩ ნატურალისტთა წრეებში არ ამზადებენ მარტივ ხელსაწყო-იარაღებს, სველ პრეპარატებს, ჰერბარიუმებს და ფიტულებს.

დაბალ დონეზე დგას ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლება კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ლ. ქამხაძე არ ემზადება გაკვეთილებისათვის. მან ვერ გაარკვია იმპერიალისტური დაჯგუფების—სამთაკავშირისა და ანტანტის შექმნა, პოლონეთის მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში. მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი ი. ალექსიძე.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში კასპის რაიონის ლამისყანის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი გ. ბეინაშვილი) და საქართველოს ისტორიაში—ქ. გორის მესამე საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი მ. არშაკონი) მოსწავლეებმა.

კასპის რაიონისა და ქ. გორის არცერთ შესწავლილ სკოლაში არ არის შექმნილი ელექტრო-ტექნიკის კაბინეტი. ელექტროტექნიკის სწავლება სწარმოებს მეტად ღარიბ და კეთილმოუწყობელ ფიზიკის კაბინეტების ბაზაზე. სასირეთის საშუალო სკოლას არა აქვს ელექტროგაყვანილობა. ლამისყანის საშუალო სკოლაში ელექტრო ქსელიდან დატაცებულია დენის ჩამრთველები და ნათურის მასრები. ახალქალაქის საშუალო სკოლის ელექტრო გაყვანილო-

ბის მოწყობისას დარღვეულია უსაფრთხოების ყოველგვარი წესი. კასპის რაიონის სკოლებს დღისით დენი არ აქვთ. სრულიად არ სწავლობენ ელექტროტექნიკა ლამისყანის საშუალო სკოლაში (მასწ. ს. ილურიძე) აქ ელექტროტექნიკის სწავლებისათვის გათვალისწინებული საათები ფიზიკისათვის დაუთმიათ.

კასპის რაიონის საშუალო სკოლაში არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახები ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების კაბინეტებისათვის.

სრულიად არ აქვს სასწავლო სახელოსნოები 5 საშუალო და 6 შვიდწლიან სკოლას. ქ. გორის სკოლებში სათანადოდ არაა მოწყობილი სადურგლო სახელოსნოები.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ხელგარჯილობის სწავლება კასპის რაიონის იგოროთის, ახალქალაქის, სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. მასწავლებლები არ იცნობენ სასწავლო პროგრამას, მაგალითად, სასირეთის საშუალო სკოლის I, III კლასების ხელგარჯილობის მასწავლებელს ნ. ქართველიშვილს I კლასში ქსოვილზე მუშაობისათვის ნაცვლად 6 საათისა დათმობილი აქვს 3 საათი. III კლასში ძერწვას თიხისა და პლასტილინისაგან ნაცვლად 4 საათისა დათმობილი აქვს 11 საათი და ა. შ ხელგარჯილობის გაკვეთილებზე მოსწავლეები არ ამზადებენ მარტივ ხელსაწყოებს, სასკოლო მოწყობილობას, ტექნიკურ მოდელებს და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. კასპის რაიონის ლამისყანისა და სასირეთის საშუალო სკოლების დირექტორები გ. ბენიაშვილი და თ. მჟავანაძე არ ატარებენ თანმიმდევრულ პედაგოგიურ ღონისძიებებს სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად, რის გამო ძალზე დიდია. განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა ლამისყანის საშუალო სკოლიდან განთესილია 73 მოსწავლე, მათ შორის I—III კლასებიდან 18, სასირეთის საშუალო სკოლიდან— 36 მოსწავლე, მათ შორის I—VII კლასებიდან 12. იგოროთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. საჩალელი) განთესილია 7, ახალქალაქის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ჯერვალიშვილი) —ა, ქ. გორის პირველი საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. ჩიკოიძე) 7, მესამე საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ჯანდიერი) 5, მეოთხე საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. სავანელი) 4 მოსწავლე.

ცუდად არის დაყენებული აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო წლის პირველი

ნახევრის შედეგების მიხედვით მეორეწლიანი მოსწავლეებიდან ვერ ასწრებდა ქ. გორის მე-4 საშუალო სკოლაში 14, პირველ საშუალო სკოლაში 17, მესამე საშუალო სკოლაში 18, კასპის რაიონის ქვემო ჭალის საშუალო სკოლაში 14, ახალქალაქის საშუალო სკოლაში 8 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში ძალზე დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, განსაკუთრებით ცალკეულ კლასებში. სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად ვერ ასწრებდა ქ. გორის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჩიკოიძე) 608 მოსწავლიდან 167 მოსწავლე (26, 7%). IX კლასში 53 მოსწავლიდან—22, VIII კლასში 53-დან—28, VII კლასში 58-დან 22; III საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. ჯანდიერი) 393-დან —111 (20, 7%), IX კლასში 43-დან—21, VIII კლასში 45-დან—21; IV საშუალო სკოლაში 529-დან—129, XI კლასში 44-დან—13, X კლასში 44-დან—18, IX კლასში 69-დან—31, VIII კლასში 40-დან—17, V კლასში 51-დან—15. სწავლებაში მოუთმენელ ფორმალიზმსა და ლიბერალიზმს აქვს ადგილი სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლებში. შემოწმებით დადასტურდა, რომ ძალზე დაბალია X—XI კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე, მასწავლებლები კი მოსწავლეთა ცოდნას ხელოვნურად მაღალი ნიშნებით აფასებენ (ლამისყანისა და სასირეთის საშუალო სკოლები). სრულიად მოუმზადებლად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლებში. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მეოთხედის შედეგების განხილვისას ქმაყოფილდებიან მოოლოდ კლასების მიხედვით აკადემიური წარმატებების მონაცემების აღნიშვნით. არ კეთდება ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის ღრმა ანალიზი. სასირეთის საშუალო სკოლაში ზოგჯერ განხილული საკითხის გარშემო დადგენილებაც კი არა აქვთ მიღებული.

ქ. გორის მესამე, მეოთხე და პირველი საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სასწავლო წლის მეოთხედების ბოლოს მოსმენილია კლასის ხელმძღვანელების ინფორმაციები, მაგრამ არ არის გაკეთებული მეოთხედის მანძილზე ჩატარებული მუშაობის ანალიზი, სრულიად არაფერია ნათქვამი იმ კლასების შესახებ, სადაც აკადემიური წარმატება ძალზე დაბალია და არ დაუსახავთ კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მეთოდურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი სასირეთის და ლამისყანის, ქ. გორის პირველ, მესამე და მეოთხე საშუალო სკოლებში.

სრულ უმოქმედობას იჩენენ სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეთოდური კომისიები

სუსტია შინა სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლის დირექტორებს. თ. მჭავანაძეს და ბეინაშვილს, მოსმენილი გაკვეთილები არ არის გაანალიზებული მეცნიერულ მეთოდურ-პედაგოგიური თვალსაზრისით. ჩანაწერები მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობის მექანიკური ფიქსაციას წარმოადგენს.

სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლებში სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის. მოსწავლეები უხეშად აღრეკვენ დისციპლინას. ადგილი აქვს გაკვეთილებიდან მოსწავლეთა მასობრივად გაპარვის შემთხვევებს. ლამისყანის საშუალო სკოლაში გაკვეთილებზე არ ცხადდება ცალკეული კლასების მოსწავლეთა თითქმის ნახევარი; მასწავლებლები კი მოსწავლეთა გამოუცხადებლობას საკლასო ჟურნალებში არ აღნიშნავენ.

ყურადღება არ ექცევა სასკოლო შენობის, დგამ-ავეჯის. სასწავლო ინვენტარის მოვლა-პატრონობის საქმეს. სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლებში დგამ-ავეჯი დაჭრილია, საკლასო ოთახების ჭერი ამომწვარი, სკოლის ეზოები შემოუღობავი და მოუვლელია, კარ-ფანჯრებს საკეტები არა აქვს.

კასპის რაიონისა და ქ. გორის სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ კასპის რაიონისა და ქ. გორის განათლების განყოფილებები (გამგეები ვ. ალექსაძე და ი. ჯაბრიშვილი) ჯეროვან ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების მუშაობაზე. სრულიად მივიწყებულია სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების შემოწმების პრაქტიკა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კასპის რაიონისა და ქ. გორის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლიდან სწავლებაში მათ უკლებლივ ჩასაბმელად. მკაცრი ზომები მიიღონ სკოლის იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც მოფიქრებულ პედაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიურ ღონისძიებებს არ ატარებენ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

ბ) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლების მუშაობას, სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;

გ) სკოლის დირექტორებთან და შეფორგანიზაციებთან ერთად უზრუნველჰყონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოების სრულყოფილად მოწყობა და სასწავლო კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყო იარაღებით და რეაქტივებით;

დ) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად, უზრუნველყონ სასკოლო შენობის, ეზოს და სასკოლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა;

ე) გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ უდისციპლინობას; სანიმუშოდ მოუარონ სასკოლო შენობას; დგამ ავეჯს, სასწავლო ინვენტარს.

ვ) მიიღონ ზომები დღისით სკოლების ელექტროდენით უზრუნველსაყოფად.

2. სკოლების დირექტორებმა;

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება; ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში ხელსაწყოების თვითკეთების საქმე და ხელი შეუწყონ ამ ხელსაწყოების პრაქტიკულად გამოყენებას ლაბორატორიულ მუშაობაში;

გ) პერიოდულად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხი და განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველჰყონ მათი მომზადების დონის არსებითად ამაღლება.

3. საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, სკოლის კეთილმოწყობის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე საჭირო ხელმძღვანელობის განუხორციელებლობის გამო მოიხსნას თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობიდან კასპის რაიონის ლამისყანის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ბეინაშვილი.

4. კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლის დირექტორი თ. მჟავანაძე თანახმად პირადი განცხადებისა განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

5. კასპის რაიონის განათლების განყოფილებამ 3 დღის ვადაში შეარჩიოს და წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კანდიდატები სასირეთისა და ლამისყანის საშუალო სკოლების დირექტორთა თანამდებობაზე დასანიშნავად.

6. კასპის რაიონის სასირეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ ლ. ქამხაძეს, ფიზიკის მასწავლებელ მ. დემეტრაშვილს, ლამისყანის საშუალო სკოლის ფიზიკისა და ელექტროტექნიკის მასწავლებელს ს. ილურიძეს საგნის სწავლების სუსტად დაყენების გამო გამოეცხადოთ საყვედური.

7. ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ი. მანაშეროვა საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო მიეთითოს.

8. კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის მასწავლებელ ა. აზარაშვილს, როგორც არასპეციალისტს, „ჩამოერთვას ქიმიის საათები. სკოლის დირექტორმა აღნიშნული საათები გადასცეს სათანადო ცენზის მქონე მასწავლებელს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 333

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 14 აპრილი

საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების 40 წლისთავის მომზადებისა და ჩატარების საქმეში სკოლების და სკოლის გარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების 40 წლისთავის მომზადებისა და ჩატარების საქმეში სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების წარმატებით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 7-წლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა:

ა) შეადგინონ ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების 40 წლისთავისათვის მომზადებისა და ჩატარების კონკრეტული გეგმა; ფართოდ გააცნონ მოსწავლე ახალგაზრდობას ამ ღიმსწესანიშნავი თარიღის დიდი მნიშვნელობა და უზრუნველყონ მოსწავლე ახალგაზრდობის დარაზმვა როგორც სასწავლო წლის წარმატებით დამთავრების, ისე ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებისათვის.

ბ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ კომკავშირულ ორგანიზაციებს ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებისა და შესრულების საქმეში.

ბ) პირადად უხელმძღვანელონ 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სასკოლო პიონერულ შეკრებებს და კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით უზრუნველყონ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა (ხეივნებისა და სკვერების გაშენება, ხეების დარგვა, მოზარდეულის, კურდღლების და ფრინველების მოვლაში მონაწილეობის მიღება და სხვ.);

დ) მ წლის სექტემბერში ჩაატარონ ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ მხატვართა ნამუშევრების სასკოლო გამოფენა, მხატვრული თვითშემოქმედებითი დათვალიერება და უზრუნველყონ ამ საქმიანობაში პიონერ-მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმა;

ე) კლასის ხელმძღვანელების საშუალებით ჩაატარონ ოქტომბრელთათვის სპეციალური ზეიმები ოებილესთან დაკავშირებით.

ვ) გამოჰყონ კვალიფიციური მომხსენებლები ახალგაზრდობაში ლექციებისა და საუბრების ჩასატარებლად. ლექციები და საუბრები ჩატარდეს კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, კომკავშირის, საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ;

ზ) უზრუნველყონ პიონერებისა და მოსწავლეების ჩაბმა სახოგადოებრივ სასარგებლო შრომით საქმიანობაში და გაუწიონ შესაძლო დახმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

2. ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა და ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურების დირექტორებმა საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 40 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყონ რესპუბლიკური გამოფენები, კონკურსები, სამხარეთმცოდნეო ლაშქრობები და ექსკურსიები.

3. პედაგოგიური ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების სამმართველომ სპეციალური მითითება მისცეს უმაღლეს და საშუალო პედაგოგიურ სასწავლებლებს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების 40 წლისთავის მომზადებისა და ჩატარების საქმეში მათი მონაწილეობის შესახებ.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საოლქო, სარაიონო და საქალაქო კომიტეტებთან შეთანხმებით განიხილონ აღნიშნული საკითხები კოლეგიის, განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსებიდან 40 წლისთავისათვის მომზადებისა და ჩატარების საქმეში სკოლების მონაწილეობის შესახებ;

ბ) უზრუნველჰყონ ახალგაზრდობისა და პიონერთა რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარებაში სკოლის დირექტორების, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა.

5. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ბ. ნ. ჯიბლაძე

14 აპრილი 1958 წელი

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ 1957/58 სასწავლო წელს

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის „ინსტრუქციით დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში სასწავლო წლის დამთავრებისა და გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ“ და ქვემოთ მოცემული დამატებითი მითითებებით:

1. დაუსწრებელი საშუალო სკოლის V, VI, VIII და IX კლასების მოსწავლეები აბარებენ კლასიდან კლასში გადასაყვან გამოცდებს.

ამ კლასებში გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებსა და ვადებში:

V კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი) და არითმეტიკაში (ზეპირი), (3 გამოცდა) 30 მაისიდან 5 ივნისამდე.

VI კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი, არითმეტიკასა (წერითი) და ბოტანიკაში (ზეპირი), (4 გამოცდა)—30 მაისიდან 8 ივნისამდე.

VIII კლასში— მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი), რუსულ ლიტერატურაში (წერითი), ალგებრასა (წერითი) და გეომეტრიაში (ზეპირი), (4 გამოცდა)—31 მაისიდან 8 ივნისამდე.

IX კლასში—მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი), რუსულ ლიტერატურაში (წერითი), ისტორიაში (ზეპირი), ალგებრასა (წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითი) და გეომეტრიაში (ზეპირი), (5 გამოცდა) --31 მაისიდან 10 ივნისამდე.

3. V. VI. VIII და IX კლასებში გადასაყვან გამოცდებზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებმაც ჩაბარეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ჩათვლა და შესრულებული აქვთ საკონტროლო სამუშაოები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და უცხო ენაში, აგრეთვე მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ ჩაბარებული ჩათვლები არა უმეტეს ორი საგნისა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები გამოცდებს ამ საგნებში აბარებენ შემოდგომაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) თუ მოსწავლეს აქვს დავალიანება ერთ ან ორ არასაგამოცდო საგანში, სკოლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება ენიჭება, ცალკეულ შემთხვევაში, ამ ჩათვლების ჩაბარება გადაუტანოს მას გამოცდების შემდეგ;

ბ) სკოლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს საგნის ჩასაბარებლად დაუშვას ამა თუ იმ საგამოცდო საგანში ერთი ან ორი ჩათვლის არმქონე მოსწავლეები, რომელთა ცოდნა პროგრამის ამ განყოფილებაში უნდა შემოწმდეს გამოცდის პერიოდში.

3. იმავე კლასში დატოვებულ იქნებიან მოსწავლეები, რომლებმაც სასწავლო გეგმა ვერ შეასრულეს სამ და მეტ საგანში. აგრეთვე ისინი, რომლებმაც სასწავლოს წლის დასაწყისამდე ვერ ჩაბარეს ყველა ჩათვლა ან საშემოდგომო გადასაყვანი გამოცდები თუნდაც ერთ საგანში.

4. მოსწავლეებს, რომლებსაც დაწესებულ ვადებში, საპატიო მიზეზების გამო, არ ჰქონდათ საშუალება ჩაებარებინათ გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის ძისაღები გამოცდები, უფლება ეძლევათ ჩაბარონ იგი შემოდგომაზე—20-დან 30 აგვისტომდე.

5. V, VI, VIII და IX კლასების ის მოსწავლეები, რომლებმაც ავადმყოფობის მიზეზით ვერ ჩაბარეს გამოცდები და ამის შესახებ წარადგინეს სამკურნალო დაწესებულებების დასკვნა, ამასთან ჩაბარებული და შესრულებული აქვთ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლები და ყველა საკონტროლო სამუშაო, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით და დირექტორის ბრძანებით, შეიძლება გადაყვანილ იქნენ უგამოცდოდ შემდეგ კლასში.

6. იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ არასაგამოცდო საგნებში სასწავლო წლის მანძილზე ზეპირ ჩათვლებს და სამუშაოებს წერითი სახით აბარებდნენ, გა-

ზაფხულსა ან შემოდგომაზე ინიშნება დამატებითი ზეპირი გამოცდები. მოსწავლეთა ცოდნა ამ საგნებში მოწმდება ზეპირი კითხვის წესით, რაც ფორმდება სათანადო ოქმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. V, VI, VIII და IX კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაბარონ გამოცდები დაუსწრებელ საშუალო სკოლაში და მის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში, აგრეთვე იმ შვიდწლიან, საშუალო და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, სადაც ესინი მიმაგრებულნი არიან განათლების სამინისტროს მიერ.

თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო მითითებისა, შვიდწლიანი, საშუალო და მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორები ვალდებულნი არიან სკოლაზე გამოსაცდელად მიმაგრებულ დაუსწრებელთათვის გამოყონ მასწავლებლები და ასისტენტები.

8. წერითი გადასაყვანი გამოცდები V, VI, VIII და IX კლასებში ტარდება სათანადო საგნის მასწავლებლებისაგან წინასწარ შერჩეული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ტექსტებით შემდეგ ვადებში:

V კლასში—მშობლიურ ენაში (კარნახი)—30 მაისს; რუსულ ენაში (კარნახი)—30 ივნისს.

VI კლასში—მშობლიურ ენაში (კარნახი)—30 მაისს; არითმეტიკაში—2 ივნისს, რუსულ ენაში (შინაარსის გადმოცემა)—5 ივნისს;

VIII კლასში—მშობლიურ ლიტერატურაში (თხზულება) 31 მაისს, ალგებრაში—2 ივნისს, რუსულ ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში თხზულება) —5 ივნისს;

IX კლასში—მშობლიურ ლიტერატურაში (თხზულება)—31 მაისს, რუსულ ლიტერატურაში, (არარუსულ სკოლებში თხზულება)—5 ივნისს, ალგებრაში —10 ივნისს.

9. ზეპირი გადასაყვანი გამოცდები V, VI, VIII და IX კლასებში ტარდება მასწავლებელთა მიერ შედგენილი ბილეთებით.

10 VII კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ ყველა ჩათვლა, შეასრულეს საკონტროლო სამუშაოები და ყველა საგანში აქვთ წლიური შეფასება არანაკლებ „3“-სა. აგრეთვე დაუსწრებელნი, რომლებსაც არა აქვთ ჩათვლა არა უმეტეს ორი საგნისა, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები გამოცდებს ამ საგნებში აბარებენ შემოდგომაზე.

11. სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მოსწავლეები, რომლებმაც გაიარეს საშუალო სკოლის კურსი, ჩაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს ჩათვლები ყველა საგანში. შეასრულეს საკონტროლო სამუშაოები და დამამთავრებელი კლასის ყველა საგანში წლიური შეფასება აქვთ არანაკლები „3"-სა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სკოლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება ენიჭება ცალკეულ სპეციალურ შემთხვევაში სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაუშვას ის მოსწავლეებიც, რომლებსაც არა აქვთ ჩაბარებული ჩათვლები არა უმეტეს ორი საგნისა. მოსწავლეები ამ საგნებში გამოცდებს შემოდგომაზე აბარებენ.

12. გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები მოსწავლეებს შეუძლიათ ჩააბარონ როგორ დაუსწრებელ სკოლაში, ისე მის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში.

13. თუ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის VII ან X—XI კლასებში არის არანაკლები 10 მოსწავლისა, გამოსაშვები ან სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდებისთვის, დადგენილი წესით, იქმნება საგამოცდო კომისია. შვიდწლიანი და საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობებს ამ შემთხვევაშიც გასცემს დაუსწრებელი სკოლა.

14. მოქმედი განკარგულების თანახმად, დაუსწრებელი საშუალო სკოლების მოსწავლეებს გამოსაშვები გამოცდების პერიოდში სამუშაო ადგილიდან ეძლევათ დამატებითი შვებულება ხელფასის შენახვით შემდეგი ხანგრძლივობით:

VII კ ლ ა ს ი ს მოსწავლეებს—15 სამუშაო დღე;

X—XI კ ლ ა ს ე ბ ი ს მოსწავლეებს 20 სამუშაო დღე.

15. მოსწავლეებს, რომლებიც ჩააბარებენ გამოცდებს შვიდწლიანი სკოლის კურსით, ეძლევათ შვიდწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობები, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულებს—ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატი. დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეები ოქროსა და ვერცხლის მედლებით არ ჯილდოვდებიან.

16. დაუსწრებელი საშუალო სკოლის გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მუშაობისათვის მასწავლებლის შრომის ფულადი ანაზღაურება ხდება დაუსწრებელი სკოლებისათვის 1956 წლის 29 სექტემბერს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ბუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი **რ. კანდელაკი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 348

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. სკოლების დირექტორებისა და ბიბლიოთეკარების უმრავლესობა უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს.

მუშა ახალგაზრდობის მეხუთე საშუალო სკოლას (დირექტორი ამხ. ბერიაშვილი, ბიბლიოთეკარი ამხ. ბასილაშვილი) 1954 წლიდან 1957 წლამდე არც ერთი ცალი წიგნი არ შეუძენია ბიბლიოთეკისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი თანხა აქ სხვა დანიშნულებით იყო გამოყენებული. მიმდინარე წელს ბიბლიოთეკას გამოწერილი არა აქვს მეთოდური ხასიათის ჟურნალ-გაზეთები. ბიბლიოთეკას სრულებით არ ყავს მკითხველები, ხოლო თვით ბიბლიოთეკარი სკოლის საქმეთა მმართველის მოვალეობას ასრულებს.

მუშა ახალგაზრდობის მესამე საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ჩოჩუა, ბიბლიოთეკარი ამხ. ფარეშიშვილი) მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე არც ერთი წიგნი არ არის გაცემული მკითხველზე; წიგნადი ფონდი დაუმუშავებელია; საინვენტარო წიგნი არასტანდარტული ფორმისაა; რამდენიმე თვის წინათ შეძენილი 500 მანეთის ლიტერატურა დღემდე გაუტარებელია. ბიბლიოთეკარს არ გააჩნია სამუშაო გეგმა.

მუშა ახალგაზრდობის მეექვსე საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. იავრიანი, ბიბლიოთეკარი ამხ. ძიძიგური) ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი შემოწმების დროს ადგილზე არ აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად მოუწესრიგებელია ამ ბიბლიოთეკაში წიგნების გაცვლა-მოძიება და დაბრუნების აღრიცხვა.

მუშა ახალგაზრდობის მე-12 (დირექტორი ამხ. მუსერიძე) და მე-18 (დირექტორი ამხ. ლაცაბიძე) საშუალო სკოლებში ბიბლიოთეკები ფორმალურად არსებობენ და ამ დარგის მუშაკები სხვა დავალებებით არიან დატვირთულნი.

მუშა ახალგაზრდობის მე-19 საშუალო სკოლაში (დირექტორი ამხ. ხაჩიძე, ბიბლიოთეკარი ამხ. ბაკურაძე) მოუწესრიგებელია საინვენტარო წიგნის წარმოება და ლიტერატურის დამუშავება.

უმრავლეს შემთხვევაში სასკოლო ბიბლიოთეკები სრულიად შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ნორმალურ მუშაობაზე. მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკა მოთავსებულია ოთახში, სადაც ამავე დროს არის ფიზიკა-ქიმიის კაბინეტი და სკოლის კანცელარია. მუშა ახალგაზრდობის მე-6 სკოლაში ბიბლიოთეკა მასობრივი სკოლის ექიმის კაბინეტშია მოთავსებული, ხოლო მე-3 სკოლაში სკოლის დირექტორის კაბინეტში.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებმა:

ა) ერთი თვის ვადაში სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში. შესაძლებლობის ფარგლებში გამოუყონ მათ შესაფერისი ბინები და მოამარაგონ საჭირო საბიბლიოთეკო-ტექნიკური მასალებით;

ბ) ბიბლიოთეკების შესავსებად განკუთვნილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებით უზრუნველყონ ლიტერატურის სისტემატურად შეძენა და სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის პერიოდული გამოცემების გამოწერა სკოლისათვის.

გ) აღკვეთონ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაკების სხვა სამუშაოებით დატვირთვა. პირადად განიხილონ და დაამტკიცონ ბიბლიოთეკების სამუშაო გეგმები და მტკიცე კონტროლი დაწესონ ამ გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

2. ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პირადად აღიარონ თვალყური მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების საქმეს და არ დაუშვან სხვა დანიშნულებით მათი გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საჭირო დახმარება აღმოუჩინონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს ბიბლიოთეკებისათვის შესაფერისი ბინების გამოყოფის საქმეში.

?. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკი) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას აუცილებლად გაითვალისწინოს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმება.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. გ. ასპინძელაშვილი) სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკთათვის მოწყობილ ღონისძიებებში გაითვალისწინოს მუშა ახალგაზრდობის სკოლების ბიბლიოთეკართა ჩაბმა.

5. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილველად და საჭირო ზომების მისაღებად დაეგზავნოთ მუშა ახალგაზრდობის სკოლებს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 11 აპრილის დადენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — გ. ნ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 283

По Министерству просвещения Грузинской ССР

от 26 марта 1958 года

О состоянии дисциплины учащихся в Тбилисской 93-ей средней школе

Заслушав доклад директора Тбилисской 93-ей средней школы В. Сисакян о состоянии дисциплины учащихся, отмечаю, что в результате последовательно проводимых педагогически продуманных мероприятий, дисциплина учащихся в школе стоит на должной высоте.

Педагогический коллектив школы систематически проводит работу по внедрению в жизнь „Правил для учащихся", для воспитания у школьников навыков и привычек организованного поведения.

Последовательно и педагогически правильно применяются меры поощрения и наказания.

В школе насаждена полезная и вполне оправдавшая себя практика, когда классные руководители в продолжении ряда лет ведут свой класс. Эта практика классным руководителям дает возможность лучше знать каждого учащегося своего класса, его материально-бытовые условия, индивидуальные особенности, запросы и интересы.

Многие классные руководители систематически ведут записи педагогических наблюдений.

В целях поднятия дисциплины среди учащихся IX класса дирекция школы прибегла к следующему мероприятию: названному классу было поручено шефство над соседним V классом.

Это мероприятие оправдало себя. Почувствовав ответственность за свое поведение перед младшими товарищами, класс подтянулся.

В проведении этого и ряда других разумных мероприятий большую помощь оказывает директору школы и учителям школьная комсомольская организация, успешная работа которой, в свою очередь, обеспечена систематической помощью со стороны дирекции и учителей школ.

Хорошо налажена в школе внеклассная работа. В целях художественного воспитания учащихся в школе организована картинная галерея. Систематически проводятся вечера и утренники художественной самодеятельности.

Большое внимание уделяется в школе интернациональному воспитанию учащихся. Периодически проводятся вечера дружбы. Так, на вечер дружбы, организованного в честь гостивших учащихся второй школы гор. Риги, были приглашены учащиеся Тбилисской 87-ой грузинской, 96-ой русской, 73-ей азербайджанской средних школ. Совместно с союзом армянских писателей школа провела вечер, посвященный великому грузинскому писателю-классику И. Чавчавадзе.

Из года в год увеличивается число выпускников, которые с аттестатом зрелости идут на производство.

Несмотря на это, в деле насаждения сознательной дисциплины среди учащихся в школе пока еще имеют место существенные недостатки.

Несмотря на ряд мероприятий с 1 сентября 1957 года по 1 января 1958 года органами милиции всеже зарегистрировано 5 случаев нарушения дисциплины учащимися 93-ей школы.

Не все классные руководители понимают свою роль в воспитании и обучении детей. Так, классные руководители IV^{2} и IV^{3} классов Геворкян Марго и Чутлашвили Нуну не могут организовать учащихся своего класса. Они мало требовательны к учащимся, и последние часто нарушают дисциплину как на уроках, так и на переменах.

Некоторые учителя не обеспечивают постановки преподавания предмета на должную высоту. Преподаватель арифметики Ераносян Завен не имеет специального педагогического образования, плохо владеет предметом.

Пока еще имеются случаи опозданий и пропуска уроков учащимися без уважительных причин.

Недостатки, все еще существующие в деле насаждения сознательной дисциплины среди учащихся, объясняются и тем, что не все учителя и классные руководители предъявляют учащимся единые педагогические требования.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Директору школы:

а) повысить ответственность каждого учителя за укрепление сознательной дисциплины учащихся, за воспитание высоких качеств, необходимых для советского гражданина;

б) усилить руководство и контроль над классными руководителями и оказывать им соответствующую помощь в деле воспитания учащихся. Обязать классных руководителей хорошо изучать бытовые условия своих учащихся, их индивидуальные особенности, запросы и интересы;

в) с начала же учебного года установить в школе твердый режим и требовать от каждого учащегося строгого соблюдения его;

г) обеспечить систематическое посещение учащимися школьных занятий; своевременно реагировать на каждый случай отсева учащихся и принимать необходимые меры к возвращению их в школы;

д) принять решительные меры для предупреждения академического отставания учащихся; на основе строгого учета индивидуальных особенностей школьников, обеспечить систематическую помощь отстающим учащимся, второгодникам и переросткам;

е) усилить помощ комсомольской и пионерской организации в деле поднятия академической успеваемости и улучшения дисциплины учащихся;

ж) на заседаниях педсовета регулярно обсуждать вопрос дисциплины среди учащихся;

з) усилить повседневную помощь учителям, не обеспечивающим должной постановки обучения и воспитания учащихся.

Настоящий приказ обсудить на заседании педагогического совета школы и наметить мероприятия по изжитию недостатков, существующих в деле насаждения сознательной дисциплины.

ОСНОВАНИЕ: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 21 марта 1958 года.

Министр просвещения

Грузинской ССР **Г. Н. Джибладзе**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 284

По Министерству просвещения Грузинской ССР

от 26 марта 1958 года

О состоянии дисциплины учащихся в школах района им. 26 комиссаров г. Тбилиси

Заслушав доклад заведующего отделом просвещения района им. 26 комиссаров г. Тбилиси тов. Хоштария о состоянии дисциплины учащихся в школах района, отмечаю, что за последнее время дисциплина учащихся в школах района несколько улучшилась. Отдел просвещения систематически ведет работу по укреплению сознательной дисциплины и улучшению воспитательной работы среди учащихся. Проведено районное совещание классных руководителей по вопросу „Об обмене опытом воспитательной работы", на котором лучшие классные руководители школ района Гапонова (78-ая средняя школа), Мчедлидзе (85-ая средняя школа), Гочиташвили (77-ая средняя школа) и др. поделились опытом своей работы. Ознакомлению передового опыта 204, 298 и 315 московских средних школ было также посвящено специальное собрание актива учителей района.

На совете РОП был обсужден положительный опыт воспитательной работы 90-ой средней школы, а также опыт пионерской организации 91-ой средней школы по организации пионеров и школьников на борьбу за выполнение „Правил для учащихся", а также мероприятия по развертыванию интернационального воспитания.

Все эти мероприятия, проведенные в районном масштабе, переносились в школы и проводились соответствующие конференции учащихся, собрания комсомольцев, сборы в пионерских дружинах.

Несмотря на это, в деле укрепления сознательной дисциплины среди учащихся школ района имени 26 комиссаров г. Тбилиси имеются существенные недостатки.

С 1 июня 1957 года по 1 января 1958 года органами милиции зарегистрировано 188 случаев нарушения дисциплины учащимися школ района.

Так, ученик VIII класса 84-ой средней школы Асанишвили Ушанги 13 сентября 1957 года нанес на уроке физики телесное оскорбление педагогу Манасашвили, за что ученик был привлечен к судебной ответственности и осужден сроком на один год.

Ученик X класса 87-ой средней школы Кезерашвили на перемене избил своего товарища Варазашвили.

Укрепление сознательной дисциплины среди учащихся первым долгом определяется работой классных руководителей. Однако не все классные руководители понимают свою обязанность в воспитании и обучении учащихся и сами не могут служить примером для учащихся.

Так, классная руководительница IV[3] класса 99-ой средней школы Сехниашвили В. 7 января 1958 года оставила на произвол судьбы своих учащихся после коллективного посещения спектакля ТЮЗ-а, в результате чего ученик Мчедлишвили заблудился и оказался в Ортачальском отделении милиции. Он был доставлен к родителям в 2 часа ночи.

Некоторые классные руководители не поддерживают связь с родителями, не знают их бытовые условия, не могут организовать учащихся своего класса и поэтому ученики этих классов часто нарушают дисциплину. Успеваемость учащихся низка; так, например, в VIII классе 87-ой средней школы (клас. руководитель Р. Гогоберидзе) из 34 учащихся в конце второй четверти успевало лишь 16 (47%), также низка успеваемость в V классе 79-ой школы (клас. руководитель А. Арутюнян).

Все еще имеются такие преподаватели, которые не да-

ют прочных знаний. недобросовестно готовятся к урокам и этим способствуют дезорганизации учащихся.

У преподавательницы географии 82-ой средней школы С. Шнитман отсутствует дисциплина на уроках. Дети не выполняют указаний учительницы, она не пользуется нужным для педагога авторитетом.

Преподавательница русского языка и литературы 90-ой средней школы З. Сотникова поверхностно проверяет ученические тетради.

Преподаватель истории 76-ой средней школы Л. Капанадзе часто пропускает уроки без уважительных причин.

Во II четверти текущего учебного года из 18.981 учащегося района не успевают 3.351 уч. (17,2%), а из 1.053 второгодника—370(35,2%).

Слаба авангардная роль комсомольцев и пионеров в учебе. Так, во II четверти текущего учебного года из 2.562 комсомольцев не успевали 412 (16,1%), а из 8.052 пионеров не успевало 1,383 (17,2%).

Во II четверти текущего учебного года пропущено 474,445 уроков, из которых 51,427 по неуважительной причине.

Недостатки в деле насаждения сознательной дисциплины среди учащихся объясняются тем, что не все преподаватели и классные руководители проводят с детьми педагогически продуманные мероприятия, не предъявляют учащимся единых педагогических требований, а также слабым руководством и контролем со стороны дирекции школы и РОП.

В целях укрепления сознательной дисциплины учащихся

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Директорам школ:

а) установить в школе твердый режим; взять под наблюдение учащихся, которые нарушают дисциплину и проводить с ними соответствующие педагогические мероприятия;

б) усилить руководство и контроль за работой классных руководителей;

в) усилить повседневную помощь учителям, требовать от них чуткого и внимательного отношения к учащимся,

обеспечения на уроках деловой обстановки и сознательной дисциплины;

г) принять решительные меры для предупреждения академического отставания учащихся; на основе строгого учета индивидуальных особенностей школьников обеспечить систематическую помощь отстающим учащимся, второгодникам и переросткам;

д) оказать действенную помощь комсомольской и пионерской организации в деле обеспечения их авангардной роли в учебе и укрепления сознательной дисциплины учащихся;

е) установить деловую связь с детской комнатой при отделении милиции, внимательно относится к их сигналам и соответствующим образом реагировать на все выявляемые случаи нарушения учащимися правил общественного порядка;

ж) на очередном заседании педагогического совета обсудить настоящий приказ и наметить конкретные мероприятия для дальнейшего улучшения сознательной дисциплины среди учащихся.

2. За слабое внедрение сознательной дисциплины среди учащихся, классным руководителям А. Арутюняну (79-ая школа) и Р. Гогоберидзе (78-ая школа) — ОБЪЯВИТЬ ВЫГОВОР.

3. За поверхностное отношение к своим обязанностям преподавательнице З. Сотниковой — УКАЗАТЬ.

4. Директору 87 средней школы (Сванидзе М.) обратить внимание на недопустимо низкий уровень знаний учащихся VIII класса и провести специальные мероприятия, обеспечивающие коренное улучшение преподавания в этом классе.

5. Принять во внимание, что классному руководителю IV² класса 99-ой школы В. Сехниашвили директором школы тов. Попиашвили был объявлен выговор с последним предупреждением.

6. Заведующему отделом просвещения (тов. Хоштария С.):

а) дополнительно изучить работу Л. Капанадзе (76 шко-

ла), С. Шнитман (82 школа) и принять соответствующие меры;

б) коренным образом улучшить руководство и контроль за работой школ;

в) во время комплексного обследования школ должное внимание уделить вопросу школьной дисциплины;

г) настоящий приказ обсудить на заседании Совета РОП и принять конкретные меры по изжитию существующих недостатков в деле внедрения сознательной дисциплины среди учащихся.

ОСНОВАНИЕ: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 21 марта 1958 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო. რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი
მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობის ორგანიზაციის შ ე ს ა ხ ებ

გასულ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რაოდენობა ისეთი სკოლებისა, რომელთაც საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში მაღალ დონეზე ჩაატარეს მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი და გამოჯანსაღებელი მუშაობა.

მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში ფართოდ გავრცელდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბანაკებისა და მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნის პრაქტიკა. ბევრმა სკოლამ მაღალ დონეზე ჩაატარა მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. საზაფხულო მუშაობამ ხელი შეუწყო სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცებასა და გაღრმავებას, პოლიტექნიკური სწავლების ამოცანების განხორციელებასა და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში გაწვრთნას.

მაგრამ, მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მთელი ზაფხულის განმავლობაში პედაგოგიური ზეგავლენის გარეშე იყო მიტოვებული.

ზოგან საჭირო ყურადღებით არ მოეკიდნენ ბავშვებთან საზაფხულო მუშაობისათვის ხელმძღვანელი და აღმზრდელთა კადრების შერჩევას. კერძოდ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს არ გაეწია აუცილებელი დახმარება პიონერთა ბანაკებისათვის აღმზრდელების შერჩევის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების ადგილობრივი ორგანოების და სკოლების ამოცანად 1958 წელს ბავშვებთან საზაფხულო მუშაობა მოაწყონ გაცილებით მაღალ დონეზე, არ დაუშვან იმ ნაკლოვანებათა განმეორება. რასაც ამ დარგში გასულ წელს ჰქონდა ადგილი.

აუცილებლად უნდა იქნეს მიღწეული, რომ არცერთი ბავშვი არ დარჩეს საზაფხულო ღონისძიების გარეშე, ყოველგვარი შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ მოეწყოს ზაფხულის მანძილზე ქალაქებში დარჩენილი ბავშვების დასვენება და სოფლად შეიქმნას პიონერული ბანაკები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უფროსი კლასების მოსწავლეებთან მუშაობას: პიონერებთან და მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობა მთლიანად უნდა წარიმართოს სკკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მითითებათა საფუძველზე.

ქალაქგარეთ მოწყობილ პიონერთა ბანაკებში პედაგოგიური მუშაობის გასაძლიერებლად აუცილებელია თვითეულ ბანაკზე გაპიროვნდეს გარკვეული საშუალო სკოლა (ან რამდენიმე სკოლა). სკოლებმა დახმარება უნდა გაუწიონ საწარმოებს პიონერთა ბანაკების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფასა და ბავშვებთან აღმზრდელობითს მუშაობაში.

მიღწეულ უნდა იქნეს, რომ ქალაქის ყველა დიდ სკოლასთან, სკოლის გარეშე დაწესებულებასთან. კულტურისა და დასვენების პარკთან, კლუბთან, და სახლმმართველობებთან შეიქმნას პიონერთა ბანაკები. სკოლებში საქალაქო ბანაკებს უნდა მისცენ აუცილებელი ინვენტარი. უზრუნველყონ ისინი პედაგოგიური კადრებით, დაეხმარონ მრავალფეროვანი და საინტერესო მუშაობის გაშლაში.

სასურველია ასს რესპუბლიკებსა და ოლქში მოეწყოს ტურისტული ბანაკები აგრეთვე ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა ბანაკები და უფროსკლასელთა კლუბები. ბანაკებისა და კლუბების მოწყობის ორგანიზატორები უნდა იყვნენ ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურები (მუშაობის პროფილის მიხედვით).

პიონერებმა და მოსწავლეებმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი საქმიანობით შესაძლებელი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიმართვის საპასუხოდ აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

აუცილებელია მოსწავლეთა ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის სხვა სახეებშიც, კერძოდ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში და გამშვენებაში.

1957 წლის ზაფხულზე მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თელაველთა მოწოდების პასუხად დიდი შრომა გასწიეს თავიანთი ძალებით სახელოსნოების, სათბურების, სპორტული დარბაზების, სპორტული მოედნებისა და სხვ. მშენებლობის საქმეში. მიმდინარე წელს სკოლებისათვის აუცილებელი სათავსოების მოსწავლეთა ძალებით მშენებლობა უფრო ფართო მაშტაბით უნდა გაიშალოს. ამ საქმეში მოსწავლეებს ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი და დაეხმარონ განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები.

აუცილებელია ყველა საშუალო სკოლაში მოეწყოს მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ქსელის ფართოდ გაშლას და საბჭოთა მეურნეობაში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ორ განზაციას.

მოსწავლეთა საზოგადოებრივ-საწარმოო შრომისა და საზაფხულო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციისას აუცილებელია: სწორი დღის რეჟიმის დაცვა, შრომისა და დასვენების გონივრული შეხამება, მოსწავლეებისათვის საჭირო ინსტრუქტაჟის გაწევა მასწავლებლების. აგრეთვე აგრონომებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების მხრივ. შრომის რაციონალური ორგანიზაცია, რაც უზრუნველყოფს მის მაღალ ნაყოფიერებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობისას უსაფრთხოების ტექნიკის ზუსტად დაცვას.

ზაფხული მთელი შესაძლებლობით უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და მათი ორგანიზმის წრთობისათვის. ამ მიზნით საჭიროა სისტემატურად ტარდებოდეს მეცადინეობა ფიზკულტურაში, პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო სპორტული თამაშობანი და შეჯიბრებები პიონერთა ბანაკებსა და სასკოლო კოლექტივებს შორის: აგრეთვე შეჯიბრებები ეზოს, ბანაკისა და სკოლის გუნდებს შორის; ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში და სხვ. უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს მასობრივ-სპორტული ღონისძიებანი, წარმატებით გაიშალოს მუშაობა მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადისათვის მოსამზადებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელების საზაფხულო მუშაობის ორგანიზაციას. სკოლა-ინტერნატები გადაყვანილ უნდა იქნან საზაფხულო რეჟიმზე. ბავშვების გასაჯანსაღებლად მიღებულ უნდა იქნას ზომები ქალაქგარეთ მათი გაყვანისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის ზაფხულში ჩატარდება მეექვსე ხუთწლიდან საღამი მიძღვნილი პიონერთა და მოსწავლეთა ექსპედიცია. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, რომ ექსპედიციამ მოიცვას მოსწავლეთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობა. საექსპედიციო რაზმებმა წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივ-სასარგებლო დავალებანი. უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ სკოლებმა საწარმოებიდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, მუზეუმებიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან თავის დროზე მიიღონ ეს დავალებანი; გამოიყოს გამოცდილი ხელმძღვანელები და გაიშალოს ლაშქრობისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

საზაფხულო არდადეგებისათვის მზადებისას თვითეული სკოლა და სკოლის გარეშე დაწესებულება ვალდებულია შეაჯამოს გასული წლის საზაფხულო მუშაობის შედეგები და შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მომდინარე წლისათვის. საზაფხულო ღონისძიებათა გეგმის განხილვაში და მთელ მოსამზადებელ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მასწავლებლები, კოლკავშირის ორგანიზაციები და მოსწავლეთა კოლექტივები.

პრაქტიკამ გვიჩვენა შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა — ბავშვებთან საზაფხულო მუშაობაში ჩავაბათ ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ასე, მაგალითად, გასულ წელს ზოგიერთმა ბანაკმა და სახლმმართველობამ ბავშვებთან სამუშაოდ დიდი წარმატებით მოიზიდა პენსიონერები, კოლკავშირელები, საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე ახალგაზრდობა.

საკავშირო პროფსაბჭომ პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს ნება დართო განათლების განყოფილებებთან და კოლკავშირის ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარე წლის ზაფხულში პარკებთან, კლუბებთან და ბაღებთან გახსნან საქალაქო პიონერული ბანაკები კვებით, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საშუალებათა ხარჯზე. ორჯერადი კვების ღირებულება საქალაქო ბანაკებში დადგენილია დღეში 7 მანეთი ერთ მოსწავლეზე, აქედან 4 მანეთი სოცდაზღვევის საშუალებათა ხარჯზე და 3 მანეთი მშობლების ხარჯზე.

საჭიროა ადგილობრივ პროფორგანიზაციებთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ თანხები, რომლებიც გამოყოფილი იქნება უფროსი ასაკის ბავშვთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის, პირველ რიგში მოხმარდეს ნორჩ ტექნიკოსთა და ტურისტული ბანაკების მოწყობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო რეკომენდაციას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა აგრეთვე გამოიყენოთ იმ მოწინავე სკოლების, კომკავშირული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა კოლექტივების გამოცდილება, რომელთაც შესძლეს საზაფხულო ღონისძიებების ჩასატარებლად დამატებითი სახსრებას გამოძებნა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიზიდვის, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავლის ანარიცხების ნაწილის გამოყოფისა და აგრეთვე მოსწავლეთა მიერ ქალაქების კეთილმოწყობისა და მშენებლობაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის, ჯართის შეგროვებისა და სხვ. მიღებული სახსრების გზით.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 210—თეთრიწყაროსა და გარდაბნის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . — 3
2. ბრძანება № 247—ყარდანახის საბავშვო სახლის საქმიანობაზე შემოსული სიგნალების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . — 5
3. მოთითებანი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სასწავლო წლის დამთავრებისა და გამოსაშვები ჯამოცდების ჩატარების შესახებ . —10
4. ცირკულარული წერილი პრაქტიკულ მეცადინეობასა და პრაქტიკუმებში შეფასებათა შესახებ . . . . . —14
5. ბრძანება № 256—პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლების 1957 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულების შედეგების შესახებ . . . . . —16
6. ბრძანება № 276—ბუჯდიდის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . —21
7. ბრძანება № 273—1957-58 სასწავლო წლისათვის მზადების "პერიოდში თელაველთა მოწოდების პასუხად ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ . . . . . —24
8. ბრძანება № 282—ორჯონიკიძის და ლენტეხის რაიონების გაგანათლების განყოფილებებსა და სკოლებში პედაგოგიური კადრების აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ . . . . . —37
9. ბრძანება № 296—სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . —41
10. ბრძანება № 297—სბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . —43
11. ბრძანება № 303—ბოლნისისა და მარნეულის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . —46
12. ბრძანება № 305—ქ. გორისა და კასპის რაიონის სკოლებში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . —50
13. ბრძანება № 333—საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების 40 წლისთავის მომზადებისა და ჩატარების საქმეში სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ . . . . . —59

14. მითითებანი დაუსწრებელ საშუალო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ 1957/58 სასწავლო წელს . . . . . —61
15. ბრძანება № 348—ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემოწმების შედეგის შესახებ . . . . . —65
16. Приказ № 283— О состоянии дисциплины учащихся в Тбилисской 93-ей средней школе . . . . . —68
17. Приказ № 284— О состоянии дисциплины учащихся в школах района им. 26 Комиссаров г. Тбилиси . . . . . —72
18. მითითებანი მოსწავლეებთან საზაფხულო მუშაობის ორგანიზაციის შესახებ . . . . . —77